

გაგზთა

უფლებები

№1. 2024



განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო



სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

საქართველო

დავით სიმონი

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი

ნათია ალიაშვილი

არასრულწლოვანთა რეფერენდუმის ცენტრის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

მირიან ბაბაძე

განხილვისა და მედიაციის დეპარტამენტის
უფროსი

ნინო გუგუშვილი

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა
რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის
დეპარტამენტის უფროსი

მთავარი რედაქტორი

ანი ქუთხაშვილი

კორექტორი

ბაიკა ნიკაშვილი

დირექტორი

მარიამ ელიზაშვილი

ფოტოგრაფი

გელა ბელიაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელ.: +995 (32) 2 200 220

ელ.ფოსტა: info@tpdc.ge

მისამართი:

თბილისი, მ.ანჭავაძის ქ. I შესახვევი, N6


ISSN 2720-8621

ჟურნალში გამოქვეყნებულ
პუბლიკაციებში გამოთქმული
ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ
ემთხვეოდეს მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრისა და
ჟურნალის რედაქციის
შეხვედრებებს. ცალკეულ
სტატიებში დასახელებული
ფაქტების უტყუარობაზე
პასუხისმგებელია სტატიის ავტორი

WWW.TPDC.GE

ანი ქუთხაშვილი

მთავარი რედაქტორი
არაფორმალური განათლების პროგრამის მენეჯერი



ყველა საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე
მიღებული კანონით, არასრულწლოვანთა, და
არამხოლოდ, პერსონალური ინფორმაციის დაც-
ვა გადამწყვეტია კონფიდენციალურობისა და
უსაფრთხოების შესანარჩუნებლად. რაც უფრო
მატულობს რისკები, მით უფრო განახლებადი და
მზადია იმ რეკომენდაციების რიცხვი, რომელ-
ბიც უზრუნველყოფს პერსონალური ინფორმაციის
ეფექტურად დაცვას.

ახალი არაფორმალური ინფორმაცია, რომ პერ-
სონალური ინფორმაციის მიღება-დამუშავე-
ბისას განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს
სასწავლო და სააღმწიფრო დანერგვებებს,
რომლებიც მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამ-
ტარები არიან არასრულწლოვანთა შესახებ.

ამ მხრივ, პირველი რეკომენდაცია შეეხება მო-
ნაცემთა ბაზის სამართლიანად და კანონიერად
დამუშავებას; ეს გულისხმობს, რომ ინფორმა-
ციის დამუშავებისას დაცული უნდა იყოს ყველა
რეგულაციური სამართლებრივი მოთხოვნა, უნდა
არსებობდეს დეგიტალური მიზანი, მონაცემთა
დამუშავება უნდა მოხდეს კანონიერად და არას-
რულწლოვანის შესახებ პერსონალური ინფორმა-
ცია გამოყენებული უნდა იყოს ბავშვის გონივ-
რული მოლოდინის შესაბამისად.

პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზ-
ნები უნდა განისაზღვროს თავიდანვე, პერსო-
ნალური მონაცემების შეგროვების მომენტიდან.
ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ, რომ კა-
ნონიერი დამუშავება შემოიფარგლება მხოლოდ
საწყისი მიზნით და ნებისმიერი ახალი მიზანი
საჭიროებს ცალკე სამართლებრივ საფუძველს.
შესაბამისად, პერსონალური მონაცემები სას-
წავლო დანერგვებებზე უნდა შეინახონ ისეთი
ფორმით, რომ მონაცემთა სუბიექტების იდენ-
ტიფიცირების შესაძლებლობა განისაზღვროს
არაუმეტეს იმ დროით, რომელიც აუცილებელია
მონაცემთა დამუშავების მიზნებისთვის.

პერსონალური მონაცემების კანონიერად დასა-
მუშავებლად საჭიროა არსებობდეს პერსონალურ
მონაცემთა დამუშავების საფუძველი. ბავშვე-
ბის კონტექსტში, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური
საფუძველია თანხმობა, რაც ნიშნავს, რომ მშო-
ბელს/ბავშვს გააჩნებული უნდა ჰქონდეს, რაზე
აყენდება თანხმობას, რა შედეგები მოჰყვება
მისი პერსონალური ინფორმაციის დამუშავებას
და ა.შ..

სასურველია, სასწავლო დანერგვებებში შეიმუ-
შაოს სკოლის კონფიდენციალურობის პოლი-
ტიკის დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება
აღწერილი, როგორ ხდება პირადი ინფორმაციის
შეგროვება, გამოყენება და დაცვა.

რასაკვირველია, მშობელი/მეურვე/კანონიერი
წარმომადგენელი უნდა გაეცნოს სკოლის კონფი-
დენციალურობის პოლიტიკას, დასვას კითხვები
და, გაურკვევლობის შემთხვევაში, განმარტება
სთხოვოს ადმინისტრაციის და/ან კონფიდენ-
ციალურობის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს.

სასწავლო დანერგვებების კონფიდენციალუ-
რობის პოლიტიკის დოკუმენტი უნდა განსაზ-
ღვრავდეს არა მარტო ფიზიკური უსაფრთხოე-
ბის ზომებს, არამედ ციფრული უსაფრთხოების
დაცვასაც. სენსიტიური დოკუმენტაციის უსაფ-
რთხოება უნდა განაპირობოს მათმა ჩაკეტილ/
დაცულ ადგილებზე განთავსებამ, ციფრული უსაფ-
რთხოებისათვის კი აუცილებელია პროგრამული
უზრუნველყოფის, ოპერაციული სისტემებისა და
აპლიკაციების რეგულარული განახლება. გარდა
ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვმა თავად
იგაძნოს პასუხისმგებლობა და განსაზღვროს
საკუთარი უფლებები პირად ინფორმაციასთან
მიმართებით, მაგალითად, მის მიერ ატვირთულ
ინფორმაციაზე (ფოტოები, ვიდეოები) სოციალურ
ქსელებში თუ სხვა პლატფორმაზე.

სასწავლო დანერგვებებში მომუშავე ყველა პი-
რი ფრთხილად უნდა იყოს პირად ინფორმაციას-
თან დაკავშირებით და მხოლოდ იმ შემთხვევა-
ში გაავრცელოს ის, როცა ამისი თანხმობა არის
კონფიდენციალურობის პოლიტიკაზე ზედამხედ-
ველი პირისაგან ან როცა აუცილებელია და მხო-
ლოდ საწარმო მხარეებს ანდობს ამ ინფორმაციას.
სკოლაში მაქსიმალურად უნდა აირიდოს პირადი ინ-
ფორმაციის არასასურველი მოთხოვნები, გადაა-
მოწმოს მომთხოვნის ვინაობა და მოთხოვნის
კანონიერება.

სასურველია, თუ სასწავლო დანერგვებებში
გამრძის სასკოლო საზოგადოების ინფორ-
მირებულობის დონეს; ჩაატარებს საუბრებს,
სემინარებს, ტრენინგებს მონაცემთა კონფი-
დენციალურობისა და უსაფრთხოების შესახებ;
ინტენსიურად მიაწვდის მას განახლებულ ინფორ-
მაციას საკანონმდებლო ბაზისა თუ სხვა რეგუ-
ლაციების, მონაცემთა დაცვის საუკეთესო პრაქ-
ტიკის შესახებ; ასევე, რეგულარულად ჩაატარებს
მონაცემთა უსაფრთხოებისა და პირადი ინფორ-
მაციის შენახვის აუდიტს, შეადგენს აუდიტორის
გეგმას და/ან შემუშავებს მონაცემთა დარღვე-
ვებსა და უსაფრთხოების სხვა ინციდენტებზე
რეაგირების მექანიზმს.

სასწავლო დანერგვებებში კონფიდენციალურო-
ბის კულტურის შესაქმნელად, ადმინისტრაციამ და
მასწავლებლებმა უნდა შექმნან კონფიდენცია-
ლურობის კარგი პრაქტიკის მოდელი და წახალის-
ონ მოსწავლეები, თავიანთ ყოველდღიურ საქ-
მიანობაში ყურადღება მიაქციონ მონაცემთა
უსაფრთხოებას.

ის, რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ, სკოლებთან ამ მი-
მართლებით მუშაობის მხოლოდ შესავალია.
ჩვენს ჟურნალის მომდევნო ნომრებში კვლავ
დავუთმობთ ყურადღებას სასწავლო დანერგვებ-
ებებში პერსონალური ინფორმაციის დაცვის
საკითხებს, კვლევითი სპეციალისტებთან
ერთად ვიმსჯელებთ მონაცემთა დარღვევების
რისკების შემცირებასა და მოსწავლეებისა და
პერსონალის შესახებ კონფიდენციალურობის
დაცვის პოლიტიკაზე.

გავშვის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის უზენაესი
გაია ქვისიანი

5

გაიკოს გავშვის უფლებათა დაცვა (1959)
ლესან ხალილი

12

სოციალური უნაკები
ნონა გელაშვილი

16

რა შემთხვევაში მიიჩნევა გავშვი ოჯახში ქალაქის მსხვერპლად
ლელა ქორილიშვილი

21

პირადი ცხოვრება და უსაფრთხოება
მარიამ გავშვილი

26

სიძულვილის ენა
მარიამ გავშვილი

30

გავშვის დაცვის ეროვნული სისტემა
თეონა გავშვი

34

როგორ გახდეს ზოგადსაგანმანათლებლო დანახარჯი
გავშვის უფლებებთან მიმართული სკოლა
(უცხოეთის გამოცდილება)
თეონა გავშვი

38

ბავშვის უფლებათა დაცვისა და ხარჯელობის უზრუნველყოფა



ბაიკა კიკიშიანი

საქართველოს პარლამენტის
წევრი, ბავშვის უფლებათა დაცვის
მუდმივმოქმედი საპარლამენტო
საბჭოს თავმჯდომარე.

ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის ადვოკატირება ჩვენი მუდმივი ვალდებულებაა. როგორია თქვენი შეხედულებები და პერსპექტივები ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე.

1. რა ცვლილებები ტარდება ამჟამად ბავშვის უფლებათა ეფექტური აღსრულების უზრუნველსაყოფად ჩვენს საკანონმდებლო ჩარჩოში?

ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, როგორც ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადანაცვლებების აღსრულების საზედამხედველო ორგანო, რამდენიმე მიმართულებით ახორციელებს ღონისძიებებს ბავშვის უფლებების ეფექტიანი რეალიზებისა და აღსრულების ხელშეწყობის თვალსაზრისით.

საბჭოს სამოქმედო გეგმა, რომელიც განერილია მიმდინარე წლის ოქტომბრის ჩათვლით, ითვალისწინებს ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების გადასინჯვის ხელშეწყობას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელებას, ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობას, აგრეთვე, ბავშვის უფლებათა კოდექსის აღსრულების მონიტორინგის გეგმას. ამ უკანასკნელი ამოცანის შესრულების მიზნით, საბჭომ საზედამხედველოდ განსაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები, კერძოდ, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი; ალტერნატიული ზრუნვის სისტემის ეფექტიანობა; პრევენციული და ოჯახის მხარდაჭერის პროგრამების ეფექტიანობა; ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებლის დინამიკა; ბავშვთა მიმართ ძალადობის დინამიკა და რეფერირების მექანიზმის ეფექტიანობა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა შეფასების და სტატუსის დადგენის სისტემის რეფორმის მიმდინარეობა; „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის N437 დადგენილების განახლების პროცესი.

აღნიშნულ პრიორიტეტულ მიმართულებებზე ზედამხედველობის განხორციელება უაღრესად მნიშვნელოვანია ბავშვის უფლებები მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის, რამდენადაც სწორედ ამ მიმართულებებით პროგრესი საქართველოს მიერ საერთაშორისოდ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას უკავშირდება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბავშვის უფლებების ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობისთვის დამტკიცდა ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ევროპული დოკუმენტებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, ასევე, თანხვედრაშია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან. სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად აღსასრულებლად 2023 წელს შემუშავდა და დამტკიცდა ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის III პრიორიტეტში (თანასწორობის კონსტიტუციური გარანტიების ასახვა სახელმწიფო პოლიტიკაში და მათი დანერგვა პრაქტიკაში; ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა დისკრიმინაციის გარეშე) დეტალურად გაიწერა ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი.

2. მიმდინარეობს თუ არა ბოლო დროს რაიმე სახის საკანონმდებლო მუშაობა, რომელიც მიმართულია ბავშვის უფლებათა დაცვის გასაძლიერებლად? შეგიძლიათ დეტალურად განმარტოთ ის?

ამჟამად მიმდინარეობს საყოველთაო სახალხო განხილვა „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტთან დაკავშირებით, რომელიც ემსახურება ქალისა და მამაკაცის კავშირზე დაფუძნებული ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის მექანიზმების გაძლიერებას.

3. რამდენადაა თანხვედრაში ჩვენი კანონმდებლობა საერთაშორისო კონვენციებთან, როგორიცაა მაგალითად, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია და რა ნაბიჯები გადაიდგმება მათი სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად?

ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წელს, ყოველსმომცველი აქტია. ის შეიქმნა სწორედ გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენ-

ციის პრინციპებისა და მასში აღიარებული ბავშვის ძირითადი უფლებების გათვალისწინებით. კონვენციის მსგავსად, კოდექსი აღიარებს ოთხ ძირითად პრინციპს, კერძოდ, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების, ბავშვის სიცოცხლისა და პიროვნული განვითარების, ბავშვთა თანასწორობის და ბავშვის აზრის მოსმენის, მისი მონაწილეობის პრინციპებს. კოდექსით განერილია, ასევე, ბავშვის ყველა ის ძირითადი უფლება, რომელიც კონვენციით არის აღიარებული. ამასთან, კოდექსი ქმნის ყოვლისმომცველ გარანტიებს ბავშვის უფლებების დაცვის უზრუნველყოფისთვის და ამ უფლებების დარღვევის პრევენციისთვის. ეს გამოიხატება შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, კონსტიტუციური ორგანოებისთვის კონკრეტული პოზიტიური ვალდებულებების გაწერით, რათა დაცული იყოს, მათ შორის, ბავშვის უფლება ოჯახზე, მისი უფლებები სახელმწიფო ზრუნვაში, ხარისხიანი განათლების მიღების, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და ცხოვრების სათანადო პირობების ქონის, ბავშვის ძალადობისა და მავნე ზეგავლენისგან დაცვის, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფის უფლებები. გარდა ამისა, ბავშვის უფლებათა კოდექსი ქმნის ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, მხარდაჭერის ინსტიტუციურ გარანტიებს.

აღსანიშნავია საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის არაერთი სხვა ღონისძიებაც. კერძოდ, 2016 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“, რომელიც შეესაბამება „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის კონვენციას. ამასთან, საქართველო არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის, 1949 წლის ჟენევის კონვენციებისა და 1977 წლის დამატებითი ოქმების, ასევე ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმის - „შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ“ - მონაწილე სახელმწიფო. იმავე წელს საქართველო შეუერთდა „შეტყობინებების პროცედურების თაობაზე“ ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის დამატებით ოქმს.

2017–2018 წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო რეფორმა, რომელშიც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სოციალურ უფლებებზე, ბავშვთა უფლებებზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე, გენდერულ თანასწორობაზე, საჯარო ინფორმაციაზე წვდომის უფლებაზე.

2020 წელს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზებას გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კონვენციასთან. ახალი კანონის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა ეფუძნება სოციალური მოდელის მიდგომას, რომელიც ორიენტირებულია ამ პირთა რეალური საჭიროებების გამოვლენასა და მათზე რეაგირებაზე. კანონის მიხედვით, შშმ-ის სტატუსი განისაზღვრება ბიოფსიქოსოციალური მოდელის საფუძველზე. იმავედროულად, ახალმა კანონმა დაადგინა ბიოფსიქოსო-

ციალურ მოდელზე ეტაპობრივი გადასვლის ვადები. გარდა ამისა, მიმდინარეობს საქართველოს საკანონმდებლო აქტების გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ 2006 წლის კონვენციის სტანდარტებთან დაახლოების პროცესი, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული მოძველებული ტერმინების გადახედვა, საქართველოს ცალკეულ საკანონმდებლო ნორმებში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, ნორმათა დაზუსტება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ სტერეოტიპების გამყარებისა და სტიგმატიზაციის თავიდან აცილების, მათ მიმართ ღირსების შემლახავი და დისკრიმინაციული მოპყრობის აღმოფხვრის ხელშეწყობის მიზნით.

2023 წელს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „ბავშვის დახმარების საერთაშორისო აღდგენისა და ოჯახის შენარჩუნების სხვა ფორმების შესახებ“ 2007 წლის 23 ნოემბრის ჰააგის კონვენციის და „შენარჩუნების ვალდებულებებზე გამოსაყენებელი სამართლის“ დამატებითი ოქმის რატიფიცირება.

აღსანიშნავია, ასევე, 2023 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ „ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის საერთაშორისო გადახდევინებისა და ოჯახური რჩენის სხვა ფორმების შესახებ“ ჰააგის 2007 წლის 23 ნოემბრის კონვენციისა და „რჩენის ვალდებულების საკითხებზე გამოსაყენებელი სამართლის შესახებ“ ჰააგის 2007 წლის 23 ნოემბრის ოქმის რატიფიცირება. კონვენციისა და დამატებითი ოქმის მთავარი მიზანია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა, მისთვის სათანადო ცხოვრების პირობების შექმნა, ოჯახის წევრების რჩენის მიზნით ალიმენტის საერთაშორისო გადახდევინების ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის გზით და ამ მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება.

საქართველოს კანონმდებლობის ბავშვის უფლებების დამცავ საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობის ნათელი დადასტურებაა სახელმწიფოს მიერ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის წინაშე „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების შესრულების თაობაზე მე-5 და მე-6 გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების წარდგენა, რომელიც მოიცავს საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის და კონკრეტულ გამოწვევებს. ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო მიმდინარე წელს პირველად ჩაერთო ანგარიშების მომზადების პროცესში და, საქართველოს მთავრობასთან ერთად, წარმატებით წარადგინა ანგარიშები გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის წინაშე.

აღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად, 2016 წელს შექმნილი ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის განმარტაციულზე უწყებათაშორისი სამთავრობო კომისია კოორდინაციას და მონიტორინგს უწევს ბავშვის უფლებების დაცვის ერთიან პოლიტიკას. კომისიის მთავარი მიზანია უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა კონვენციასთან და სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა, ძირითადად, შესაბამისობაშია გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციასთან, მის პრინციპებთან, დამატებით ოქმებთან და ბავშვის უფლებების დამცავ სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებთან. ცხადია, არსებობს გამოწვევებიც ბავშვის უფლებების დამცავ საერთაშორისო ინსტრუმენტებთან საქართველოს კანონმდებლობის სრული ჰარმონიზაციის თვალსაზრისით.

4. რა ინიციატივები ხორციელდება ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ყველა ბავშვისთვის?

ბავშვისთვის ხარისხიანი, ინკლუზიური განათლების მიღებისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უფლებამოსილებები მოიცავს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად სათანადო პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელებას, ინკლუზიური განათლების ყველა ბავშვისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობის მიღწევის მიზნით.

საქართველოს მასშტაბით, საჯარო სკოლებში არსებობს ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის სპეციალისტების პოზიციები: ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი. მუშაობს მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც მთელ საქართველოს მოიცავს. გუნდი შედგება სხვადასხვა სპეციალისტისგან (ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ფსიქიატრი), რომელთა ფუნქციაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების განსაზღვრა სტანდარტიზებული ტესტების შესაბამისად და რეკომენდაციების შემუშავება სკოლებისთვის სწავლებისა და სწავლის კუთხით.

მოქმედი კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას, რომ მულტიდისციპლინურმა გუნდმა შეაფასოს დარეგისტრირებული პირველკლასელები, მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების გამოვლენის მიზნით. ეს პროცედურა საშუალებას აძლევს სკოლას, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ჰქონდეს ინფორმაცია მომავალი პირველკლასელების საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ. ამგვარი ინფორმაცია მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ რა არის საჭირო მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის.

2018 წელს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლითაც სპეციალური მასწავლებელი მასწავლებლის ერთ-ერთ სახეობად განისაზღვრა. დამტკიცდა სპეციალური მასწავლებლის სტანდარტი და განისაზღვრა კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების სქემა.

მოქმედი ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის პროცედურა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

მოსწავლეთა იდენტიფიცირების მექანიზმი არეგულირებს სკოლაში ინკლუზიური განათლების პროგრესირებას, ასევე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების სტატუსის განსაზღვრის პროცესს.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო იყენებს სხვადასხვა დამხმარე რესურსს, ქმნის სახელმძღვანელოებს, რომლებიც ემსახურება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლების ხელშეწყობას და განკუთვნილია სპეციალისტებისთვის, მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის. ალტერნატიული სასწავლო გეგმები ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილია. თუ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ზოგიერთი საგნის სწავლა შეუძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის, გამოიყენება ალტერნატიული სასწავლო გეგმა.

ამასთან, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს ტრენინგმოდულებს, რომლებიც მიზნად ისახავს სკოლის ადმინისტრაციის, სპეციალური მასწავლებლების, მასწავლებლების, მშობლების გაძლიერებას ინკლუზიური განათლების სფეროში.

2023 წელს ცვლილება განხორციელდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც საფუძველს ქმნის სსიპ - საგანმანათლებლო დანესებულების მანდატურის სამსახურში ინკლუზიური განათლების მხარდაჭერი ახალი სისტემის ასამოქმედებლად. ცვლილებას საფუძველად დაედო ნორვეგიის სპეციალური ინკლუზიური განათლების მხარდაჭერი ახალი სისტემის მოდელი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა პასუხისმგებლობისა და მომსახურების ერთ სივრცეში მობილიზებას, რაც მეტად შეუწყობს ხელს არსებული რესურსების კოორდინირებულად მართვას, ეფექტიანად გამოყენებასა და კომპეტენციების გაძლიერებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, აგრეთვე, რომ 2023 წელს დამტკიცდა ინკლუზიური განათლების 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სამ პრიორიტეტს:

1. ინკლუზიური განათლების სისტემატური გაძლიერება და განვითარება;
2. ინკლუზიური განათლების მიდგომების, მეთოდოლოგიისა და სერვისების შემუშავება განათლების ყველა საფეხურზე;
3. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში (2013-2023) აშენდა 63 საჯარო სკოლის ახალი შენობა.

5. როგორ უჭერს მხარს არსებული პოლიტიკა ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარებასა და განათლებას და იგეგმება თუ არა არსებული პროგრამების გაფართოება?

საქართველოში სკოლამდელი განათლება დეცენტრალიზებულია. მუნიციპალიტეტები ბავშვებს სთავაზობენ სრულ უფასო მომსახურებას (კვების ჩათვლით) საჯარო საბავშვო ბაღებში 2 წლიდან სკოლაში ჩარიცხვამდე. დაწყებითი სკოლის დაწყების ასაკი არის 6 წელი. სკოლამდელი განათლების სერვისი შეიძლება გაგრძელდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის, სკოლის ასაკის მიუხედავად.

აღსანიშნავია, რომ ადრეული და სკოლამდელი განათლების განახლებული სახელმწიფო სტანდარტი ადრეული ასაკისა და სკოლამდელი განათლების ინკლუზიური განათლების ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას, რაც გულისხმობს შემდეგს: ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულების თანამშრომლების მიერ რელიგიური ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმისგან თავისუფალი არაძალადობრივი და არადისკრიმინაციული გარემოს უზრუნველყოფას; პერსონალის მიერ უნივერსალური დიზაინის პრინციპების გააზრებას და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო პროცესებში ჩართვას, ასევე, მათი ემოციური უსაფრთხოების საჭიროებების დამოუკიდებელი შეფასების შესაძლებლობას; შშმ ბავშვებთან მუშაობის დამხმარე ტექნოლოგიების ფლობას; ეთნიკური უმცირესობების ბავშვებისა და მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდებას მშობლიურ ენაზე.

მნიშვნელოვანია, რომ ეთნიკურ უმცირესობებს საქართველოში წვდომა აქვთ განათლების ყველა საფეხურზე: სკოლამდელ, ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საფეხურებზე. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს სახელმწიფო აძლევს შესაძლებლობას, სკოლამდელი და სასკოლო განათლება მშობლიურ ენაზეც მიიღონ. საქართველოში ფუნქციონირებს 50-ზე მეტი არაქართული სკოლამდელი დაწესებულება და 300-მდე არაქართული სკოლა/სექტორი. 2020 წლიდან განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ახორციელებს „ორენოვანი განათლების პროგრამას“ არაქართულ საბავშვო ბაღებსა და სკოლებში. პროგრამა ბილინგვური განათლების დაწესებულებითა და განვითარებით ამაღლებს სახელმწიფო ენისა და მშობლიური ენის წიგნიერების დონეს, ხელს უწყობს შესაბამისი რესურსების შექმნას, არსებული კადრების გადამზადებასა და ახალი კადრების მოზიდვის მექანიზმების შექმნას. პროგრამა ეფუძნება ბილინგვური განათლების შერეულ მოდელს.

ცხადია, სახელმწიფო აგრძელებს მუშაობას ადრეული და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

6. როგორ აგვარებს ბავშვთა დაცვის არსებული სისტემები ისეთ საკითხებს, როგორიცაა ძალადობა, უგულვებელყოფა?

ბავშვების ყველა სახის ძალადობისაგან დასაცავად, 2016 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ბავშვის მიმართვის პროცედურები, რამაც გააფართოვა პროცესში ჩართული უწყებების წრე (მოიცავს ყველა პირი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ბავშვებთან კონტაქტი). ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაწესდა პროცესში ჩართულ პირებზე, რომლებიც არ ასრულებენ ვალდებულებას, შესაბამის ორგანოს მიაწოდონ ინფორმაცია ბავშვზე ძალადობის შესახებ.

გაზრდილია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პირის - სოციალური მუშაკის როლი, რომელიც უფლებამოსილია, გადაწყვიტოს გადაუდებელი ვითარების დროს ბავშვის მოძალადისგან დაუყონებლივ განცალკევების საკითხი. ბავშვის განცალკევებასთან დაკავშირებით სოციალური მუშაკის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის დადგენილია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ხოლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის ადმინისტრაციულად დაჯარიმებულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური აიდენტიფიცირებს სკოლებში ძალადობის/სავარაუდო ძალადობის პირველად ნიშნებს და, საჭიროების შემთხვევაში, მიმართავს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ან საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრს. გარდა ამისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, შეუწყნარებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე დროული რეაგირება და მიმდინარე გამოძიების ეფექტურობა.

2020 წლიდან მოქმედებს საქართველოს კანონი „სექსუალური თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, რომელიც საშუალებას აძლევს სასამართლოს, ჩამოართვას კონკრეტული უფლებები მსჯავრდებულს, რომელიც მსჯავრდებულია, მათ შორის, არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში (მათ შორის, სასწავლო, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობის უფლება).

7. რა დამხმარე სერვისებია ხელმისაწვდომი ძალადობის ან ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვებისთვის და როგორ იხვეწება ეს სერვისები?

ქვეყანაში მოქმედი ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები ფუნქციონირებს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს დაქვემდებარებაში, სადაც სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და იურისტები აღჭურვილნი არიან საჭირო უნარები-

თა და პროფესიული ცოდნით, რათა უზრუნველყონ ეფექტური მომსახურება, მათ შორის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის. გარდა ამისა, სააგენტოს სპეციალისტები თანამშრომლობენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან თერაპიასა და გამოჯანმრთელებასთან დაკავშირებული სერვისების მიწოდების პროცესში.

2020 წლიდან მოქმედებს „ბავშვთა ძალადობისა და უგულვებელყოფისგან დაცვის სტანდარტული ოპერაციული პროცედურები“, რომელიც მოიცავს სამედიცინო შემთხმებისა და ექიმის მიერ იდენტიფიკაციის პროცედურებს, თუ არსებობს რაიმე ეჭვი ძალადობასთან დაკავშირებით.

ამავე წლიდან ფუნქციონირებს ბავშვთა ცხელი ხაზი - 111 - სწრაფი რეაგირებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვებისა და მათი ოჯახების ხელმისაწვდომობას სახელმწიფო პროგრამებზე. აღნიშნული ცხელი ხაზის საშუალებით, ბენეფიციარებს გაენევათ კონსულტაცია სოციალურ, ჯანდაცვის, განათლების, ძალადობის, ფსიქოლოგიურ, სამართლებრივ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმების შემუშავების/დანერგვის თვალსაზრისით, აღსანიშნავია ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის (ბარნაჰუსი) არსებობა, რომლის მიზანია სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვა და საგამოძიებო და სარეაბილიტაციო მოქმედებების ერთ სივრცეში თავმოყრა. თბილისის ტერიტორიაზე, გარდა კანონით გამოწვეული შემთხვევებისა, ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება „ბარნაჰუსში“ ტარდება. ცენტრის საშუალებით ხდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩასართავი პირების დროულად მობილიზება, რაც ხელს უწყობს ბავშვთან განსახორციელებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების დაყოვნების გარეშე წარმართვას.

აღსანიშნავია, ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაში (2024-2027) გათვალისწინებული ბავშვზე მორგებული სივრცეების შექმნის კომპონენტი, რომელიც მოიცავს არასრულწლოვანთა სპეციალიზებული დანაყოფის შექმნასა და ბავშვზე მორგებული სივრცეების მოწყობას სამინისტროს ყველა სტრუქტურულ ერთეულში. გარდა ამისა, პროკურატურის სტრატეგიით განსაზღვრულია ყოველწლიურად მინიმუმ ერთ სტრუქტურულ ერთეულში ბავშვზე მორგებული სივრცის მოწყობის ვალდებულება.

8. რა არის მთავრობის სტრატეგიები იმისათვის, რომ ყველა ბავშვს ჰქონდეს ადექვატური ჯანდაცვის სერვისები?

სახელმწიფოს პრიორიტეტია ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მცხოვრები ადამიანებისთვის, მათ შორის ბავშვებისთვის, ჯანდაცვის პროგრამებსა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, 2010 წლი-

დან ფუნქციონირებს „სახელმწიფო რეფერალური ჯანდაცვის პროგრამა“, რომელიც უზრუნველყოფს ოკუპირებული რეგიონებიდან ჩამოსული პაციენტებისთვის უფასო სამედიცინო სერვისების მიწოდებას საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე სამედიცინო დაწესებულებებში.

გარდა ამისა, დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის მიზანია დედათა და ახალშობილთა ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. სტრატეგია განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკას დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის, ასევე ოჯახის დაგეგმვის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით. ამასთან, დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით, მომზადდა და დამტკიცდა 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის განახლებული სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტია ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქციული ხელმისაწვდომობის მონიტორინგი, ჯანდაცვის სერვისები, სელექციური აბორტის პრევენციული გარემოს გაუმჯობესება და მისი პრაქტიკაში განხორციელება.

ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა, მათი მხარდაჭერა და ოჯახების კეთილდღეობა არის საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის 2022-2030 წლების სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი.

9. არსებობს თუ არა ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებებზე მიმართული სპეციალური პროგრამები?

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამას, რომლით გათვალისწინებული სერვისები ანაზღაურდება სრულად და არ საჭიროებს მოსარგებლის მხრიდან დამატებით თანაგადახდას.

აღნიშნული პროგრამით მოსარგებლები არიან 18 წლამდე ასაკის მოზარდები, რომლებსაც აღნიშნულ ფსიქიკური მდგომარეობისა და ქცევის ცვლილებას, სოციალური ფუნქციონირების გაუარესება და დეზადაპტაცია. სერვისები მოიცავს:

- ➔ დღის სტაციონარის პირობებში, მოსარგებლის მდგომარეობის შესწავლას/დიაგნოსტიკას;
- ➔ ნეიროგანვითარებითი და ფსიქიატრიული გუნდის მომსახურებას;
- ➔ ექიმის დანიშნულებით, მედიკამენტებით (დიაგნოსტიკის პერიოდში), კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევებით, სხვა ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციებით უზრუნველყოფას.

გარდა ამისა, პროგრამა ფსიქიკური აშლილობის მქონე ბავშვებს სთავაზობს ფსიქიატრიულ სტაციონარულ მომსახურებას, აგრეთვე, კვებითა და პირადი ჰიგიენის საგნებით უზრუნველყოფას.

ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურება ხელმისაწვდომია მუნიციპალურ დონეზეც. მაგალითად, თბილისის მერიის ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამა მოიცავს მულტისისტიკურ ინტერვენციას ბავშვებსა და მოზარდებში, რომელიც გულისხმობს შემდეგს: მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მულტისისტიკური ინტერვენციის განხორციელებას მულტისისტიკური ინტერვენციის ცენტრში და მულტიდისციპლინური გუნდის სოციალური მუშაკის მიერ პაციენტის საცხოვრებელ ადგილზე და/ან სასწავლო დაწესებულებაში პროგრამაში ჩართვისას და დასრულებისას; გეგმიურ ამბულატორიულ კონსულტაციებს; მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსარგებლეთა შეფასებას, ინტერვენციის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას, იმპლემენტაციას და მონიტორინგს; ინტერვენციის ინდივიდუალური გეგმის ფარგლებში, ინდივიდუალური თერაპიების განხორციელებას და საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ფსიქიატრიულ კონსულტაციებს; მულტიდისციპლინური გუნდის სოციალური მუშაკის მიერ მოსარგებლის მონიტორინგს ბინაზე და/ან სასწავლო დაწესებულებაში პროგრამაში ჩართვისას და დასრულებისას.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს, აგრეთვე, აქტიური ფსიქიატრიული მკურნალობის კომპონენტს, რომელიც მოიცავს: მულტიდისციპლინური მობილური გუნდის მიერ მოსარგებლეთა შეფასებასა და ინდივიდუალური მართვის გეგმის შემუშავებას; რეგულარულ ვიზიტებს (არანაკლებ 6 ვიზიტისა თვეში) საცხოვრებელ ადგილზე, 24-საათიან სატელეფონო კონსულტაციას; მოსარგებლეთა სოციალური უნარ-ჩვევების ტრენინგს; მოსარგებლისა და ოჯახის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და ფსიქოგანათლებას; ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სტაციონირების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, პაციენტის სტაციონირების უზრუნველყოფას; 24 საათის განმავლობაში სერვისის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას; საჭიროების შემთხვევაში, მულტიდისციპლინური გუნდის წევრი ექიმი-ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

10. არსებობს თუ არა მექანიზმები შშმ ბავშვების სრულად ჩართულობისა და მათი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად?

გარდა იმისა, რაც უკვე აღვნიშნეთ ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის ღონისძიებების თაობაზე, ამ თვალსაზრისით ხაზგასასმელია ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმა. განსაკუთრებით მონეწვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების მიმართ ყველა ფორმის უთანასწორო მოპყრობის შემცირება სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებათაგან ერთ-ერთს მიეკუთვნება. ამ მიმართულებით უთანასწორო მოპყრობის შემცირება მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული შეზღუდული შე-

საძლებლობის მქონე ბავშვების შეფასების და სტატუსის დადგენის სისტემის რეფორმის სრულყოფასთან. რეფორმა მოიცავს ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვის ღონისძიებათა გეგმის დამტკიცებას, შესაბამისი სამართლებრივი აქტების შემუშავებას და სპეციალისტთა გადამზადებას.

საქართველოში შესაძლებლობის შეზღუდვის შეფასებისა და სტატუსის დადგენის სისტემა ეფუძნება იმ სამედიცინო მოდელს, რომელიც არ შეესაბამება შშმ პირთა უფლებების შესახებ კონვენციის მოთხოვნებს. იმის გათვალისწინებით, რომ სტატუსის დადგენა ნებისმიერი პირისთვის, მათ შორის, ბავშვებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, მიზანშეწონილია არსებული სამედიცინო მოდელის ჩანაცვლება ბიოფსიქოსოციალური მოდელით.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებისკენ მიმართულ ღონისძიებათა ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს შესაბამისი კომიტეტის მიერ ამჟამად შემუშავებულია სამოქმედო გეგმის პროექტი შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის მექანიზმის ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე.

11. რა ძირითადი და ყურადსაღები პრიორიტეტები იკვეთება, სამომავლოდ, ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით?

როგორც აღინიშნა, ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს სამოქმედო გეგმის ამოცანები მოიცავს იმ აქტივობების განხორციელებას, რომლებიც პრიორიტეტად განსაზღვრა საბჭომ.

პრიორიტეტულ საკითხთა შორის, საბჭომ მიზნად დაისახა ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის გადასინჯვის ხელშეწყობა, რომელიც მოიცავს ბავშვის უფლებათა სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის გადასინჯვაში მონაწილეობას საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში და ემსახურება ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის „ბარნაჰუსის“ ეფექტიანი ფუნქციონირების, არასრულწლოვანთა შრომითი ექსპლუატაციის შემცირების, მიუსაფარი ბავშვების უფლებების გაძლიერებისა და არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების უფრო მაღალი სტანდარტით დაცვის ხელშეწყობას.

ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებთან მიმართებით, საბჭომ პრიორიტეტად აირჩია განსაკუთრებით მონეწვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვების უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ამ გზით ბავშვებისა და მათი ოჯახების გაძლიერება, მხარდაჭერა. გეგმის ეს ნაწილი ორიენტირებულია შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე.

საზედამხედველო უფლებამოსილების თვალსაზრისით, როგორც უკვე აღინიშნა, საბჭო რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულებით ახორციელებს მონიტორინგს, რითაც წვლილი შეაქვს ბავშვის უფლებათა კოდექსის ეფექტიანად აღსრულების ხელშეწყობაში.

აღსანიშნავია, აგრეთვე, საბჭოს მიერ ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა და ცენტრალური ხელისუფლების უწყებებთან კოორდინირებული მუშაობის გაძლიერება. მოცემულ შემთხვევაში, საბჭო კონცენტრირდა მაკოორდინირებული ფუნქციის შესასრულებლად მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების კვლევის ჩატარების მიმართულებით, რომლის შედეგების შესაბამისადაც უნდა განისაზღვროს კონკრეტული პროგრამები და სერვისები.

გარდა ამისა, საბჭო უფლებამოსილია დაგეგმოს და განახორციელოს ცალკეული ღონისძიებები, რომლებიც ბავშვის უფლებების რეალიზებასა და გაძლიერებას შეუწყობს ხელს. ამ შემთხვევაშიც, საბჭო კონცენტრირდა განსაკუთრებით მოწყვლადი ბავშვების - შშმ და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერის გაძლიერების ხელშეწყობი ღონისძიებების ორგანიზებაზე, ასეთი ოჯახების საჭიროებების გამოვლენისა და მათზე ეფექტიანი რეაგირების ზომების გატარების მიზნით.


12. როგორ შეუძლიათ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და, ზოგადად, საზოგადოებას წვლილი შეიტანონ ამ საკანონმდებლო ძალისხმევის ჩამოყალიბებასა და მხარდაჭერაში?

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და, ზოგადად, საზოგადოებას, ცხადია, მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ ბავშვის უფლებათა დაცვის გაძლიერების პროცესში. ძირითადი გამოწვევებისა და საზოგადოების საჭიროებების იდენტიფიცირებაში აუცილებელია არასამთავრობო სექტორის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა პრიორიტეტული მიმართულებებით მუშაობის დასაგეგმად და განსახორციელებლად.

სახელმწიფო, მათ შორის, საბჭო უწყვეტ რეჟიმში თანამშრომლობს არასამთავრობო სექტორთან სხვადასხვა ფორმატში, რათა ქვეყანაში ბავშვის უფლებების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტები დამკვიდრდეს. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ თითოეული პოლიტიკის დოკუმენტის შექმნაში, ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში.



გაეროს ბავშვის უფლებათა დეკლარაცია (1959)



ლასან ხალილი

ლიდერობის, კულტურისა და
განვითარების პროფესორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული პროფესორი

მეორე მსოფლიო ომის შედეგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსება 1945 წელს მნიშვნელოვანი გარდატეხა იყო ადამიანის უფლებებისა და ბავშვის უფლებების განვითარების პროცესში. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შექმნის დღიდან გამოირჩეოდა მისი წინამორბედი “ერთა ლიგისგან” საერთაშორისო სამართლის სრულყოფით კონვენციებისა და ინსტრუმენტების მეშვეობით.

ბავშვის უფლებების დაცვის საერთაშორისო ნება გაჩნდა გაეროს ქარტიიდან გამომდინარე, რომელიც მიღებულ იქნა 1945 წელს (იხ. ამ წიგნის I ნაწილი). მიუხედავად იმისა, რომ ქარტიაში მკაფიოდ არ იყო გათვალისწინებული ბავშვის უფლებების დაცვა, ორგანიზაციის ფუნდამენტური პრინციპები, რომელთა დაცვაზეც შეთანხმდნენ წევრი სახელმწიფოები, წარმოადგენს ბავშვის უფლებების დაცვის მყარ გარანტიას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნები ჩამოთვლილია წესდების პირველ მუხლში, რომლის მე-სამე პუნქტში წერია: “განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული პრობლემების გადასაჭრელად და ხელი შეუწყოს ადამიანის ძირითად უფლებათა საყოველთაო პატივისცემას ყველასთვის, რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად”.

აღნიშნულმა ქარტიამ, ყველა წინამორბედ საერთაშორისო დოკუმენტთან და ინსტრუმენტთან ერთად (ბავშვის უფლებების პირველი გენერაცია), გზა გაიკაფა 1959 წელს, როდესაც მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა დეკლარაციის სრული ტექსტი. დეკლარაცია შედგება ათი ძირითადი პრინციპისგან, რომლებიც უშუალოდ ეხება ბავშვის უფლებების დაცვას. იგი მიღებული იქნა ერთხმად, 1959 წლის 20 ნოემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-14 სესიაზე. ამრიგად, იგი ითვლებოდა ბავშვთა დაცვის კანონად და 1924 წლის დეკლარაციის ლოგიკური და ბუნებრივი განვითარების გარდაუვალ შედეგად. დეკლარაცია წარმოადგენს ბავშვის ინტერესების დასაცავად კერძო და საზოგადოებრივი ქმედებებისთვის ერთგვარ სახელმძღვანელოს.

დეკლარაციის ძირითადი დებულება, რომელიც მერვე პრინციპშია ჩადებული, ადგენს, რომ ბავშვი ნებისმიერ ვითარებაში უნდა იყოს მათ შორის, ვინც პირველი მიიღებს დაცვას და დახმარებას. მისი პრეამ-

ბულა ემყარება ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითად პრინციპებს, რომლებიც გაეროს ქარტიითა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით არის გათვალისწინებული. 1959 წლის დეკლარაციაში აღიარებულია, რომ ფიზიკურად და გონებრივად მომწიფებულ ბავშვს სჭირდება შესაბამისი დაცვა და განსაკუთრებული ზრუნვა, მათ შორის, სამართლებრივი დაცვა როგორც დაბადებამდე, ასევე დაბადების შემდეგ.

1959 წლის დეკლარაციამ ბავშვის უფლებებს დაამატა ახალი კონცეფცია - დაცვის პრინციპი ყველა ასპექტში, იქნებოდა ეს ფიზიკური, გონებრივი თუ მორალური. რაც მთავარია, მან გააფართოვა დაცვის სფერო, რომელიც უნდა დაიწყოს მის დაბადებამდე და არა დაბადებიდან, როგორც ეს ადრე იყო. ეს მიჩნეულია უპრეცედენტო ნაბიჯად ბავშვთა უფლებების მოძრაობაში.

1959 წლის დეკლარაციაში წარმოდგენილი დაცვის პრინციპი მხოლოდ მისი საერთო ფილოსოფიის ნაწილი იყო, ანუ: “კაცობრიობა ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვი ყველაფერი საუკეთესოთი”, რაც აუცილებლად და თანაბრად შეესაბამება ბავშვისა და საზოგადოების ინტერესებს.

მიუხედავად იმისა, რომ 1959 წლის დეკლარაცია სახელმწიფოებისთვის არ ატარებდა რაიმე სამართლებრივ ვალდებულებით ხასიათს, იგი მიჩნეულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიის ქვაკუთხედად. დეკლარაცია, აგრეთვე ფართოდ იქნა გამოყენებული მთავრობების ნახალისებისთვის, რათა მათ მოეხდინათ თავიანთი კანონმდებლობების სრულყოფა ბავშვთა დაცვის დებულებების შემუშავების თვალსაზრისით. უფრო მეტიც, აღნიშნული დეკლარაცია გახდა საფუძველი გაეროს მნიშვნელოვანი რეზოლუციისა, რომელიც მიღებულ იქნა გენერალური ასამბლეის მიერ 1961 წელს და რომლის მიხედვითაც გაფართოვდა გაეროს ბავშვთა ფონდის სამოქმედო არეალი.

აღნიშნულ დეკლარაციაში გათვალისწინებული ათი პრინციპი შეიძლება დაიყოს უფლებების ორ ჯგუფად: პირველი, წესები, რომლებიც მიზნად ისახავს ბავშვის ფიზიკური ხელშეუხებლობისა და ცხოვრების დონის დაცვას და მეორე, ბავშვის გონებრივი და მორალური განვითარება. ზოგიერთი ტექსტი მოიცავს ორივე ჯგუფს, რომლებიც ეხება დისკრიმინაციას, ექსპლუატაციისგან დაცვას და დაკავშირებულია რასობრივი ფორმის ძალადობისგან დაცვასთან.

ბავშვის ფიზიკური ხელშეუხებლობისა და ცხოვრების დონისთან დაკავშირებული უფლებების პირველ ჯგუფში გაბატონებულია თანასწორობის პრინციპი. ნათქვამია, რომ ყველა ბავშვს გააჩნია თანაბარი უფლებები რასობრივი კუთვნილების, ფერის, სქესის, ენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული და სოციალური წარმომავლობის, საკუთრების, დაბადებისა და სხვა სტატუსის საფუძველზე არსებული განსხვავებისა და დისკრიმინაციის გარეშე.

ამიტომ აუცილებელია ბავშვებთან დაკავშირებით შესაბამისი საკანონმდებლო ზომების მიღება, როგორცაა მაგალითად, ბავშვის უფლება - ჰქონდეს სახელი, მოქალაქეობა, სოციალური დაცვა, კვების და სამედიცინო მომსახურება.

ბავშვის ფსიქიკურ და ზნეობრივ განვითარებასთან დაკავშირებული უფლებების მეორე ჯგუფში გაბატონებულია ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარება. რაც შეეხება ბავშვის შესაძლებლობების განვითარებას, უნდა იყოს გათვალისწინებული თანაბარი შესაძლებლობები, როგორცაა მინიმალური უფასო სავალდებულო განათლება.

უფრო მეტიც, ეს ჯგუფი ხაზს უსვამს ბავშვების ზნეობრივი და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავების აუცილებლობას; ამასთან ერთად, ადრეული ასაკიდან სწავლების გაძლიერებას, რათა შემდგომში ისინი გახდნენ საზოგადოების აქტიური წევრები.

ამ ორი ჯგუფის მეშვეობით, გაეროს ბავშვის უფლებათა დეკლარაციამ შემოიტანა ახალი წესები და პრინციპები, რომელთა შესახებ ადრე საუბარი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან საერთაშორისო ეტალონს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანიშნულებიდან გამომდინარეობს, მისი პრინციპები არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნაწილს და, შესაბამისად, წევრი სახელმწიფოებისთვისაც არ არის სავალდებულო.

დაბოლოს, 1959 წლის ამ დეკლარაციას აქვს რეკომენდაციის ფორმა, ტექსტური თვალსაზრისით თუ კანონმდებლობით, თუმცა მისი ზოგიერთი პრინციპი სავალდებულო ფორმით არის წარმოდგენილი. მაგალითად, მეორე პრინციპი ადგენს, რომ ქვეყნებმა უნდა მიიღონ ეროვნული კანონები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ დეკლარაციის პრინციპების განხორციელებას. მეორე ტექსტში ნათქვამია, რომ ბავშვთა უფლებების განხორციელება მოითხოვს გლობალური ეროვნული პოლიტიკის გატარებას, დეკლარაციის პრინციპების შესაბამისად.

ნიცაა პერსონალური მონაცემის იმგვარად დამუშავება, რომ არ დაირღვეს ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, დაცული იყოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

პირადი ცხოვრების ფართო და მრავალმხრივი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ზუსტი და ამომწურავი განმარტება. აქედან გამომდინარე, საკანონმდებლო ჩარჩო გვაძლევს საშუალებას, უფრო მეტი დეტალი განვსაზღვროთ. პირადი ცხოვრების განმარტება საკმაოდ ინდივიდუალურია; ადამიანები ხშირად თავად განსაზღვრავენ პირადი ცხოვრების ჩარჩოს; შეიძლება ერთი ადამიანისთვის პირადი ცხოვრების აღქმა განსხვავდებოდეს სხვა ადამიანის აღქმისგან; სწორედ ამიტომ გახდა საჭირო პერსონალური მონაცემების შესახებ კანონმდებლობის შექმნა, რომელიც განმარტავს პერსონალურ მონაცემებს, ხოლო კონსტიტუცია უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვას.





რა არის პერსონალური მონაცემები?

პირველ რიგში, განვმარტოთ, საქართველოს კანონმდებლობით რა მიეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს და რა კავშირი აქვს პირად ცხოვრებასთან.

კანონის თანახმად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ფიზიკურ პირთან და რომლის საშუალებითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება; „პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.“ პერსონალურ ინფორმაციაში შედის ჩვენი საცხოვრებელი მისამართი, საბანკო მონაცემები, ინფორმაცია სესხზე, ღეროვან უჯრედებსა თუ ჰონორარზე.

საქართველოს კანონმდებლობით ასევე განსაზღვრულია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, პროფესიულ კავშირში განეწიანებასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები დაცვის უფრო მაღალი სტანდარტით სარგებლობს.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა კი ნიშნავს ყველა მოქალაქის დაცულობას - უზრუნველყოფილი იყოს მათი ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა, არ გამჟღავნდეს სატელეფონო მიმონერა თუ საუბარი, საცხოვრებელი მისამართი, ოჯახისა და სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოებები.

თუმცა არის შემთხვევები, როდესაც პერსონალური მონაცემების გასაჯაროება აუცილებელი ხდება. მნიშვნელოვანია, ამ დროს კარგად იყოს დასაბუთებული თუ რატომ გახდა აუცილებელი პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება; ასევე მნიშვნელოვანია, მკაფიოდ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან საჯარო ინტერესი და საზოგადოებრივი ცნობისმოყვარეობა. სწორედ ბალანსის დაცვა არის თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევა. პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ინფორმაციის მიმართ არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი, ხოლო გამჟღავნებულ ინფორმაციას უფრო მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია საზოგადოების უსაფრთხოებისთვის, ვიდრე კონკრეტული პირისთვის ზიანის მიყენება. საჯარო ინტერესი უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ეხება:

- მნიშვნელოვანი დანაშაულის აღკვეთას;
- თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ დანაშაულს;
- სახელმწიფო თანხების არაკეთილსინდისიერად გამოყენებას;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებს;
- ეროვნულ უსაფრთხოებას.

უნდა გვახსოვდეს: ჯანმრთელობისა და სქესობრივი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია განეკუთვნება განსაკუთრებულ პერსონალურ მონაცემებს და სარგებლობს განსაკუთრებული დაცვით. ამ საკითხების ნებისმიერი სახით გამჟღავნება ითვლება პირად ცხოვრებაში შეჭრად.

ბავშვთა უფლებებზე ზრუნვა და მათი დაცვა ყველა უწყების მოვალეობაა; ბავშვებსაც აქვთ პირადი ცხოვრება და ადვილად შეიძლება მოხდეს მათი უფლების დარღვევა. სკოლის ადმინისტრაციას და მასწავლებლებს ხშირად აქვთ შეხება მოსწავლეებისა და მათი მშობლების პირად ინფორმაციასთან; სწორედ ამიტომ, პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის დაცვის თვალსაზრისით, სკოლას მნიშვნელოვანი სამართლებრივი და მორალური პასუხისმგებლობა აკისრია.

სასკოლო სივრცეში პერსონალურ ინფორმაციას განეკუთვნება ყველა ის დეტალი, რომელმაც შეიძლება ბავშვის იდენტიფიცირება მოახდინოს: მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ფოტოსურათი თუ საცხოვრებელი მისამართი, აკადემიური მოსწრებისა და დასწრების შესახებ ინფორმაცია, შემაჯამებელი ნაშრომების ქულები თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია. აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციის გაზიარება შესაძლებელია მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე.

როგორც სხვა საჯარო უწყების, ისე სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან პერსონალური მონაცემების გაცემის შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, რათა მოხდეს საქმის გამოძიება და შესაბამისი რეაგირება.



რატომ უნდა პასუხავოთ ბავშვებს პერსონალური მონაცემების დასვა?

ბავშვებისთვის პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება ადრეული ასაკიდან, ერთი მხრივ, პრევენციული ღონისძიებაა, ხოლო მეორე მხრივ, ეხმარება ბავშვს სწორი ღირებულებების ჩამოყალიბებაში, რათა თავადაც მოახერხოს სხვისი უფლებების დაცვა.

20-30 წლის წინ ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ინტერნეტი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი იქნებოდა და ვისაუბრებდით ინტერნეტშიმონერის დაცვის უფლებაზე. ჩვენი ყოველდღიური აქტივობა ინტერნეტსივრცეში პერსონალური მონაცემების გაზიარებას მოითხოვს. ტექნოლოგიების ეპოქაში, სადაც გაფრთხილებისა და ინტერნეტის მოხმარება ბავშვების თამაშის შემადგენელი ნაწილიცაა, ბავშვებისთვის პირადი ინფორმაციის დაცვისა და გაზიარების საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ხშირად ბავშვები ვერ აფასებენ ინტერნეტსივრცეში მათი პირადი ცხოვრების დეტალების გაზიარების რისკებს, რაც საფრთხეს უქმნის მათი უფლებების განხორციელებას და ზრდის კიბერბულინგის შესაძლო შემთხვევებს.

ვინაიდან პერსონალური მონაცემების დაცვაზე ზრუნვა ჩვენი საზოგადოებისთვის ახალი თემაა, სირთულეს წარმოადგენს ბავშვებისთვის ამ საკითხზე მათთვის გასაგები ენით ინფორმაციის მიწოდება; თუმცა აქ შეიძლება ზღაპრები დავიხმაროთ. ზღაპრების გამოყენება ბავშვებისთვის საინტერესო თემებზე საუბრისთვის კარგად აპრობირებული მეთოდია. მცირე ასაკის ბავშვებთან ზღაპრების ენით

საუბარი უფრო ამარტივებს ისეთი თემების გაგება-გააზრებას, როგორიცაა თუნდაც პირადი ცხოვრება და მისი დაცვა. მაგალითისთვის შეიძლება ყველასთვის ცნობილი ზღაპრები გამოვიყენოთ. წითელქუდას ზღაპარში, წითელქუდამ ისეთი სახის პერსონალური მონაცემი გასცა, როგორიცაა საცხოვრებელი მისამართი. მგლისთვის ბებიის საცხოვრებელი ადგილი რომ არ გაემჟღავნებინა, ბებიას, სავარაუდოდ, არც არაფერი დაემუქრებოდა. გოგონამ მგელში ვერ დაინახა საფრთხე. ინტერნეტსივრცეში ბევრი საფრთხეა ბავშვებისთვის - შეიძლება „მეგობრულ“ უცნობებს გაუზიარონ პერსონალური ინფორმაცია და საკუთარ თავსა და ოჯახს წევრებს შეუქმნან საფრთხე; ამას კი, ზღაპრისგან განსხვავებით, შეიძლება არ ჰქონდეს კეთილი დასასრული.

მეორე ყველასთვის ცნობილი „სამი გოჭის“ ზღაპარია. თანამედროვე დროში რომ გადმოვიტანოთ და აშენებული სახლები ინტერნეტპაროლებს შევადაროთ, მივხდებით, რომ მგელმა იმიტომ ვერ შეაღწია აგურით ნაშენებ სახლში, რომ ძლიერი მასალა იყო გამოყენებული. ასევე ჩვენს გაჯეტებთან მიმართებითაც, რაც უფრო კარგი თავდაცვის საშუალება, პაროლები და რამდენიმე სახის იდენტიფიკაციის დაცვა გვიყენია, უფრო ნაკლებია შანსი, რომ ვინმემ ჩვენს მონაცემებში შემოაღწიოს და ჩვენს პირად ცხოვრებაზე ინფორმაცია მოიპოვოს.

მშობლების უმრავლესობა, ბავშვების მიერ ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენებისა და შესაძლო ზიანის თავიდან არიდების, ასევე, ბავშვების ინტერნეტმოხმარების კონტროლის მიზნით, სხვადასხვა აპლიკაციას იყენებს. რა თქმა უნდა, მშობელი ინფორმირებული უნდა იყოს შვილის ინტერნეტაქტივობის შესახებ, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბავშვებსაც აქვთ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება! სწორედ ამიტომ არის საჭირო, ბავშვებს მცირე ასაკიდან ვესაუბროთ პირადი ინფორმაციის დაცვის მნიშვნელობაზე.

როგორ დავიცვათ პირადი ინფორმაცია?

ტექნოლოგიების საუკუნეში პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით, მნიშვნელოვანია ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენება; ამისთვის კი ყველას უნდა გვახსოვდეს მთავარი პრინციპები:

- არ გადავცეთ პერსონალური მონაცემები ინტერნეტში გაცნობილ ადამიანებს;
- არ შევიყვანოთ საბანკო მონაცემები საექვო საიტებზე;
- არ ჩამოვტვირთოთ ფაილები საექვო ვებგვერდებიდან;
- გამოვიყენოთ რთული პაროლები და დაცვის ორმაგი ავტორიზაცია;
- ყურადღება მივაქციოთ, რომ ვებგვერდი იწყებოდეს <https>-ით და არა <http>-ით.

და თუ კი გაქვთ ეჭვი, რომ თქვენი მონაცემები მუშავდება უკანონოდ, აუცილებლად მიმართეთ საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს: [032 242 10 00](tel:0322421000).



პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური <https://pdps.ge/ka/content/982/biblioTeka>
2. საქართველოს კონსტიტუცია
3. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“
4. Unicef “PRIVACY, PROTECTION OF PERSONAL INFORMATION AND REPUTATION RIGHTS” CHILDREN’S RIGHTS AND BUSINESS IN A DIGITAL WORLD DISCUSSION PAPER SERIES, 2017
5. What is private life? ICELANDIC HUMAN RIGHTS CENTRE,
6. Yan Hui and Liu Huawei, *Between Public and Private Life: Traditional Ethics in Modern Society*, Vol. 4, No. 3 (Sep., 2009), pp. 385-399 (15 pages)
7. Kuznetsova, Olga Anatolyevna and Bondarenko, Natalia (2017) “Private Life Safety Provision in Digital Age,” *Journal of Digital Forensics, Security and Law*: Vol. 12 : No. 3 , Article 9.

სიძულვილის ენა



მარიამ ბაკათაშვილი

სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის სოციალური მუშაკი.

სიძულვილის ენის ერთმნიშვნელოვანი გაგება ან მისი საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი დეფინიცია არ არსებობს, თუმცა ის შესაძლებელია აღვწეროთ, როგორც ვერბალური, წერილობითი ან ქცევაში გამოხატული კომუნიკაცია, რომლითაც ხდება თავდასხმა ან დისკრიმინაცია ინდივიდის ან ჯგუფის მიმართ მისი პიროვნული მახასიათებლების გამო, როგორებიცაა რელიგია, ეთნიკურობა, რასა, კანის ფერი, ასაკი, გენდერი, ენა, ეკონომიკური ან სოციალური წარმოშობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა. შ. სიძულვილის ენა მოიცავს გამონათქვამებს, მტკიცებას, იდეებსა თუ შეხედულებებს, რომლებიც მიმართულია ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წინააღმდეგ, ასევე, მოიცავს ძალადობისკენ მონოდებას, იქნება ეს ზოგადი ხასიათის თუ კონკრეტული პირისადმი მიმართული.

სიძულვილის ენის გამოყენებას თან ახლავს წარმომეტყველების სურვილი, დაამტკიცოს ადრესატი ჯგუფის განსხვავებულობა და, შესაბამისად, უარყოფითად წარმოაჩინოს ის საზოგადოების წინაშე. ადრესატზე, კერძოდ, მის ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობაზე სიძულვილის ენა ხანგრძლივ და უარყოფით ეფექტს ახდენს; მოკლედ რომ ვთქვათ, სიძულვილის ენა გარკვეული იარაღია ადამიანის მორალურად გასანადგურებლად.



სიძულვილის ენა მიმართულია როგორც ცალკეული ადამიანების, ისე ადამიანთა ჯგუფების წინააღმდეგ, უფრო ხშირად კი მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების/ჯგუფების წინააღმდეგ, რაც ხელს უწყობს გაუცხოებას და ლახავს მათ ღირსებას. სიძულვილის ენის სამიზნე, შესაძლოა, ნებისმიერი აღმოჩნდეს. სიძულვილის ენის ამსახველი ტექსტები ხშირად დეზინფორმაციულ ხასიათს ატარებს და, იმავდროულად, კონტექსტიდან ამოგლეჯილ ერთ ფრაგმენტზე ამახვილებს ყურადღებას. ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ სიძულვილის ენა საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჰარმონიულ თანაცხოვრებას და სამიზნე არა მხოლოდ უფლებების დარღვევის კუთხით, არამედ საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცხოვრებიდან სხვადასხვა ჯგუფის გარიყვის საშიშროების მხრივაც.

რა ფორმით შეიძლება გამოიხატოს სიძულვილის ენა?

უნდა აღინიშნოს, რომ სიძულვილის ენა გამოხატვის მხოლოდ ზეპირსიტყვიერ, წერილობით ან ვერბალურ საშუალებებს არ უკავშირდება. ეს შეიძლება იყოს ფოტო, კარიკატურა, მიმი, სიმბოლო, თამაშები, ვიდეორგოლები, საგნები, ჟესტები, რაიმე დოკუმენტი ან სტატია, სხვადასხვა გამოსახულება, რომელიც ონლაინ ან რეალურ სივრცეშია განთავსებული. სიძულვილის ენის გამოყენება მიმართულია იმისკენ, რომ ადრესატში გამოიწვიოს შიში, სტრესი, იზოლაცია ან დაშინება, საზოგადოებაში დანერგოს სიძულვილი და ზოგჯერ წაახალისოს კიდევ შეურაცხყოფა და ძალადობა.

სიძულვილის გამოხატვა შეიძლება ხდებოდეს სხვადასხვა სივრცეში: ტელევიზიაში, გაზეთში, საჯარო შეკრების დროს, სკოლაში, სამსახურში ან სამეზობლოში, ქუჩაში ან ოჯახში, ინტერნეტში, ვებგვერდებზე, აპლიკაციებში, ბლოგებზე, სოციალურ მედიაში, მეილზე, ჩათში და ა.შ.. შეიძლება ითქვას, დიდი რისკია იმისა, რომ ინტერნეტი მტრულ გარემოდ გადაიქცეს, რადგანაც სიძულვილის შემცველი ვიდეოების, გამოსახულებებისა თუ სხვა ფოტომანიპულაციების გამო, მომხმარებლების შეურაცხყოფის, შევიწროებისა და სიძულვილის ენის ფართოდ გავრცელების მზარდი ტენდენცია იკვეთება.



ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით, „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით“. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი კრძალავს დისკრიმინაციას და უზრუნველყოფს ყველა ადამიანის თანასწორობას. უნდა აღინიშნოს, რომ დისკრიმინაციის ყველა შემთხვევას არ განაპირობებს სიძულვილის ენა, თუმცა, სიძულვილის ენის გამოყენების თითქმის ყველა შემთხვევა ეფუძნება დისკრიმინაციას, დაშვებას, რომ კონკრეტული ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი სხვებზე აღმატებულია. ადამიანის ღირსების დაცვა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, სიძულვილის ენისგან გვიცავს. ეს ნიშნავს, რომ სიძულვილის ენა საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას, სწორედ ამიტომ, არაერთ ქვეყანაში, სიძულვილის ენის გამოვლინების მძიმე ფორმები კანონით არის აკრძალული.

სიძულვილის ენა და გამოხატვის თავისუფლება

სიძულვილის ენა ისეთ მგრძნობიარე თემას უკავშირდება, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლება, რაც ადამიანის უფლებათა დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. ეს უფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყველა ადამიანის თვითრეალიზებაში. სიტყვის თავისუფლება თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების მთავარ საყრდენს წარმოადგენს. შესაბამისად, თითქმის შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ სად გადის ზღვარი სიძულვილის ენასა და სიტყვის თავისუფლებას შორის. გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ისეთი იდეების გამოხატვის უფლებასაც, რომლებიც, შესაძლოა, შეიცავდეს კრიტიკას, მიჩნეული იყოს შეურაცხყოფელად ან სადავოდ, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოხატვის თავისუფლება არ არის უსაზღვრო. საჭიროა ბალანსის დაცვა, ერთი მხრივ, ადამიანების მიერ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვასა და, მეორე მხრივ, სხვების უფლებების დაცვას შორის.

სიძულვილის ენა გარკვეულწილად ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას, ვინაიდან ისინი, ვინც სიძულვილის ენის სამიზნე ხდებიან, ვერ გრძნობენ თავს უსაფრთხოდ და მშვიდად, როცა თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ აზრს. რასაკვირველია, ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება, ინფორმაციის, იდეების თავისუფლად გავრცელებისა და მიღების უფლება. რაც მთავარია, ეს ყოველივე შესაძლებელია განხორციელდეს სიძულვილის ენის გარეშე - შეიძლება ცალკეულ ადამიანს ან ჯგუფს არ დაეთანხმონ ან გააკრიტიკონ ისე, რომ მათ კეთილდღეობას და უსაფრთხოებას საფრთხე არ შეუქმნა.

რა ზიანი შეიძლება მიაყენოს სიძულვილის ენამ ბავშვებს?

როდესაც ვსაუბრობთ სიძულვილის ენაზე, ჩვენ უნდა დავფიქრდეთ, რა გავლენა და ზიანი მოაქვს მას კონკრეტული ადამიანებისთვის და, ზოგადად, მთლიანი საზოგადოებისთვის. ბავშვები საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც მოწყვლადია ნებისმიერი დადებითი ან/და უარყოფითი გამოცდილების მიმართ. ნებისმიერი სახის გამოცდილებამ შესაძლოა, წარუშლელი კვალი დატოვოს მათ ცხოვრებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ცხოვრების უდიდეს ნაწილს იკავებს სოციალური პლატფორმები და მედია საშუალებები, ბავშვების განრიდება ყოველივე ამისგან საკმაოდ რთულია. სოციალური მედიისგან მიღებული ინფორმაცია მცირეწლოვან ბავშვებში შესაძლოა ისეთი ემოციებისა და პროცესების ფორმირების მაპროვოცირებელი გახდეს, როგორიც არის ბრაზი, გაღიზიანება და დაძაბულობა.

სოციალურ მედიაში განთავსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც ძალადობრივ ელემენტებს ატარებს, ბავშვებისთვის შესაძლოა აღიქმებოდეს როგორც ნორმა, რაც მომავალში მათ გარკვეულ სირთულეებს შეუქმნის. პირისპირ თუ ონლაინ ურთიერთობაში, გარკვეულ ეტაპზე, თითქმის ყველა ბავშვი აწყდება სიძულვილის ენას. მრავალი უარყოფითი

შინაარსის მქონე ფოტო/ვიდეო თუ სხვა გამოსახულება ბავშვებს უყალიბებს რწმენასა და შეხედულებებს, რომ სამყარო არ არის უსაფრთხო მათთვის, რაც იწვევს შფოთვისა და უნდობლობას გარშემო მყოფი ადამიანების მიმართ. მაღალია ალბათობა იმისა, რომ სოციალურ მედიაში განთავსებული უარყოფითი შინაარსის მქონე, ძალადობრივი ელემენტების შემცველი ინფორმაციები, რომლებიც უმეტესწილად ბავშვებში ნორმალიზდება, სამომავლოდ ძალადობრივი ქმედებების მაპროვოცირებელი გახდება. ბუნებრივია, რომ ბავშვები შესაძლოა ერთმანეთისგან ვერ არჩევენ სანდო და არასანდო ინფორმაციას; შესაძლოა მათ ზიანი მიადგეთ ცრუ ინფორმაციის გავრცელებით ან თავად მოახდინონ სიცრუის ტირაჟირება თავიანთი მეგობრების წრეში.

როგორც ვიცით, ბავშვები და ახალგაზრდები სიძულვილის ენის წინაშე განსაკუთრებულად დაუცველები არიან. როდესაც ბავშვებს ესმით ან კითხულობენ ინფორმაციას, რაც მათი იდენტობის და პიროვნული მახასიათებლის მიმართ სიძულვილის ენით გაჯერებულ გზავნილს შეიცავს, შესაძლებელია ჩათვალონ, რომ რაღაცით განსხვავებულები, მაშასადამე, სოციალურად არასასურველები არიან. თავის მხრივ, ეს უარყოფითად აისახება მათ თავდაჯერებაზე და შესაძლოა გამოიწვიოს ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესება, მაგალითად, შფოთვა და დეპრესია, თვითდაზიანებასა თუ სუიციდზე ფიქრები. სიძულვილის ენას შეუძლია ძალადობის წახალისება, რამაც შეიძლება ადამიანებზე, მათ შორის, ბავშვებზე თავდასხმაც კი გამოიწვიოს.

რა გავლენა აქვს სოციალურ მედიას სიძულვილის ენის გავრცელებაზე?

რა თქმა უნდა, სიძულვილის ენა დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ონლაინ კომუნიკაციის ზრდამ განსაკუთრებულად შეუწყო ხელი მის სწრაფ და ფართოდ გავრცელებას. ინტერნეტის საყოველთაო გამოყენებასთან ერთად, თანდათან მრავალფეროვან და მასშტაბურ ხასიათს იძენს მისი გავრცელების საშუალებებიც. თანამედროვე სამყაროში სოციალური მედია ბავშვების ცხოვრების უდიდეს ნაწილს იკავებს, რადგან ნებისმიერი სოციალური თუ შემეცნებითი აქტივობა დაკავშირებულია იმ სოციალურ პლატფორმებთან, რომელთა გარეშე ცხოვრებაც წარმოუდგენლად მიგვაჩნია. ფეისბუქი, ინსტაგრამი და სხვა სოციალური ქსელები ბავშვებს და არა მარტო ბავშვებს, აძლევს შესაძლებლობას, ხელი მიუწვდებოდეთ უამრავ ინფორმაციაზე. სამწუხაროდ, იმავე ციფრული პლატფორმების გამოყენებით მარტივია სიძულვილით გაჯერებული კონტენტის შექმნა და ფართო აუდიტორიებზე სწრაფად გავრცელება, რაც ხშირ შემთხვევაში ანონიმურად ხდება. ინტერნეტის საშუალებით, სიძულვილის ენას შეუძლია აუდიტორიას მთელი მსოფლიოს მასშტაბით მისწვდეს და დროდადრო ხელახლა ამოტივტივდეს.

სოციალურ მედიაში განთავსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია, მისგან მიღებული აგრესია და გაღიზიანებადობა რეალიზდება სწორედ იმ გარემოში, რომელშიც ბავშვებს უწევთ ყოფნა. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ბავშვები აგრესიისა და ბრალის რეალიზებას ვერ ახდენენ რეალურ გარემოში, სოციალური მედია თავისუფალ ასპარეზს აძლევს მათ, ერთმანეთის მიმართ აგრესია გამოხატონ სხვადასხვა პლატფორმაზე. ვინაიდან ინტერნეტში ბევრი ბავშვი სიძულვილის ენას აწყდება, ამიტომ მნიშვნელოვანია, მშობელი აკონტროლებდეს თუ რას უყურებს მისი შვილი ტელევიზიით და ინტერნეტით, რა სახის თამაშებს თამაშობს და ა. შ..

როგორ ვუპასუხოთ სიძულვილის ენას?

მნიშვნელოვანია, ვებრძოლოთ არა მხოლოდ სიძულვილის ენის გამოვლინებას, არამედ მის გამომწვევ მიზეზებსაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას უნდა დავუპირისპირდეთ საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფს შორის არსებული ურთიერთობებისა და დამოკიდებულებების დონეზე. თუ როგორ შეიძლება ვებრძოლოთ სიძულვილის ენას, ამის ერთმნიშვნელოვანი ინსტრუქცია არ არსებობს, რადგან ეს კომპლექსური საკითხია, თუმცა ინფორმირებულობის და ცნობიერების დონის ამაღლება, კრიტიკული აზროვნების განვითარება, ემპათიის გამომუშავება და, რაც მთავარია, მომავალი თაობის ჯანსაღი ღირებულებებით აღზრდა ამ პრობლემური საკითხის აღმოფხვრის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

მნიშვნელოვანია, ზრდასრულები ბავშვებს ღიად ვესაუბროთ სიძულვილის ენის შესახებ, რათა დავეხმაროთ მის ამოცნობაში და ვასწავლოთ, როგორ მოიქცნენ, როცა მისი გამოყენების მომსწრენი გახდებიან. იმისათვის, რომ ბავშვმა შეძლოს სიძულვილის ენის ამოცნობა, საჭიროა პირველ რიგში მისი იდენტიფიცირება, რაშიც ეს რამდენიმე კითხვა დაგვეხმარება:

- შენი აზრით, რა არის სიძულვილის ენა? **o** შენი აზრით, რა მიზნით იყენებენ სიძულვილის ენას? **o** როგორ გრძნობ თავს, როცა სიძულვილის ენა გესმის?
- შენი აზრით, როგორ გრძნობს თავს ადამიანი, რომლის მიმართაც გამოყენებულია სიძულვილის ენა? **o** შენი აზრით, რას გრძნობს ადამიანი, რომელიც სიძულვილის ენას ავრცელებს? სიძულვილის ენასთან საბრძოლველად, ბავშვებთან ურთიერთობის პროცესში მნიშვნელოვანია, მშობლებმა გავითვალისწინოთ სპეციალისტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:
- დავეხმაროთ ბავშვებს, ამოიცნონ სიძულვილის ენა ინტერნეტში და ავეხსნათ, რომ გავრცელებული ინფორმაცია შეიძლება არ იყოს სიმართლე, არამედ შესაძლოა გამოიყენებოდეს კონკრეტული ადამიანებისთვის ზიანის მიყენების, საზოგადოების გახლეჩისა და ძალადობის გაღვივების მიზნით. მოზარდების შემთხვევაში შეგვიძლია განვიხილოთ მაგალითები ისტორიიდან, როცა სიძულვილის ენამ მოუშადა ნიადაგი უამრავ კონფლიქტს და ადამიანის უფლებების დარღვევას.

- ვესაუბროთ ბავშვებს ღიად და გულწრფელად. შევასხენოთ, რომ ეკრანის მეორე მხარეს სხვა ადამიანი დგას და ნუ გაავრცელებს მის შესახებ სიძულვილით გაჯერებულ ცრუ ინფორმაციას. ის, რაც ერთს შეიძლება უწყინრად მოეჩვენოს, სხვისთვის შეიძლება ძალიან მტკივნეული აღმოჩნდეს. მცირე ასაკის ბავშვებთან აღნიშნული თემა შეგვიძლია განვიხილოთ სამართლიანობის კონტექსტში და იმის ხაზგასმით, რომ მნიშვნელოვანია სხვებს ისე მოვექცეთ, როგორც გვსურს რომ თავად მოგვექცნენ.
- რაც უფრო ხშირად ვესაუბრებით ბავშვებს ისეთი თემის შესახებ, როგორიცაა სიძულვილის ენა, მით უფრო თავდაჯერებულად იგრძნობენ თავს, რადგან უფრო მეტად ინფორმირებულები იქნებიან საკითხის ირგვლივ. მაგალითად, თუ ტელევიზიის საშუალებით ვნახავთ შესაბამის თემას, შეგვიძლია ვკითხოთ ბავშვს თუ რა იცის და რას ფიქრობს ამის შესახებ. მოვუსმინოთ ისე, რომ არ შევანწყვეტინოთ და წავახალისოთ, რომ დასვას კითხვები.
- მნიშვნელოვანია, ბავშვებს ვასწავლოთ განსხვავება განზრახვასა და შედეგს შორის. ის, რასაც ვამბობთ, შესაძლოა სხვებისთვის დამაზიანებელი იყოს მაშინაც კი, როცა ამის განზრახვა არ გვქონია. წავახალისოთ ბავშვები, გულწრფელად გამოხატონ ცნობისმოყვარეობა, ვინაიდან სიძულვილის ენა ზოგჯერ არაინფორმირებულობასა და ცრუ წარმოდგენებზეა აგებული. ვასწავლოთ მოზარდებს, რომ ყველას ცხოვრება ინდივიდუალურია და სხვისი ცხოვრება ჩვენი გასარჩევი არ არის.
- ვისარგებლოთ თითოეული შესაძლებლობით, ავუხსნათ ბავშვს, რომ ყველას აქვს უფლება, საზოგადოებაში თავი უსაფრთხოდ იგრძნოს და მიიღოს ღირსეული მოპყრობა და პატივისცემა. სიძულვილის ენა არასდროს არის გამართლებული და მისი აღმოფხვრა ყველა ჩვენგანის მოვალეობაა.
- ვკითხოთ ბავშვს, ვის ეტყოდა საგანმანათლებლო სივრცეში, თუ სიძულვილის ენას წააწყდებოდა. მნიშვნელოვანია, ბავშვს, საჭიროების შემთხვევაში, შეეძლოს იმ ზრდასრულ ადამიანებთან გახსნილად საუბარი, ვისაც ენდობა.
- დავეხმაროთ მოზარდებს, მიიღონ მრავალფეროვნება. ავუხსნათ, რომ თითოეული ადამიანი სხვებისგან განსხვავდება და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, სამყარო ძალიან მოსაწყენი იქნებოდა. ცნობისმოყვარეობის ნახალისებით შეგვიძლია დავეხმაროთ ბავშვებს განსხვავებების დანახვასა და დაფასებაში. მცირე ასაკიდანვე უნდა ვასწავლოთ, რომ განსხვავებულობა დანაშაული არ არის, რითაც ხელს შევუწყობთ მათ განსხვავებულ ადამიანებთან დიალოგსა და ემპათიაში.

და ბოლოს, უნდა გვახსოვდეს, რომ სიძულვილი ასაზრდოებს ნეგატიურ სტერეოტიპებს და თუ სიძულვილს თავიდანვე არ დავუპირისპირდებით, ის დამკვიდრდება ჩვენს საზოგადოებაში, გაამყარებს სტერეოტიპებს და გადაიზრდება უფრო სამიმ ქმედებებში, მათ შორის, შესაძლოა ფიზიკურ ძალადობასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულში. დავუპირისპირდეთ სიძულვილის ენას და გვახსოვდეს, რომ, პირველ რიგში, ჩვენ ვართ მაგალითი ბავშვებისთვის, ამიტომ დავფიქრდეთ ჩვენს სიტყვებსა და ქმედებებზე როგორც რეალურ, ისე ინტერნეტ სამყაროში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევროპის საბჭოს გაიდლაინები ადამიანის უფლებების სწავლებასთან დაკავშირებით;
2. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, სიძულვილის ენა, სამართლებრივი ჩარჩოები საქართველოსთვის;
3. ევროპის საბჭო. ისაუბრე მშვიდობის ენით! სიძულვილის ენა დაუშვებელია!
4. როგორ ვესაუბროთ ბავშვებს სიძულვილის ენის შესახებ;
5. ევროკომისიის ქცევის კოდექსი ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენებასთან ბრძოლის შესახებ;
6. სიძულვილის ენა და გენდერული სტერეოტიპები ქართულ ციფრულ მედია-დისკურსში. სოფიო თოთიბაძე.

ბავშვის დაცვის ეროვნული სისტემა



თაონა ბაკაშვილი

სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის სოციალური მუშაკი.

საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ განახორციელა არაერთი რეფორმა, რომელიც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინსტიტუციონალიზაციას შეეხება. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა ყველაზე თვალსაჩინოდ კონსტიტუციური რეფორმის შედეგებში გამოვლინდა. სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ამ კუთხით, ყურადღებას იმსახურებს სახელმწიფოს ძალისხმევა ბავშვთა უფლებების სფეროში, რასაც შედეგად მოჰყვა ქართული კანონმდებლობის დაახლოება და ჰარმონიზაცია ევროკავშირის სტანდარტებთან; კერძოდ, ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღება, რომელმაც დაცვის განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვა ბავშვი.

კოდექსი განსაზღვრავს ბავშვის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ქმნის ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს.

კოდექსის რეგულირების სფერო განსაზღვრავს სამსვეტიან სისტემას:



სუბიექტები:

- საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება
- მუნიციპალიტეტის ორგანოები
- ბავშვებთან და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე ნებისმიერი პირი

კოდექსის ძირითადი სისტემა

კოდექსის სამსვეტიანი სისტემა ეფუძნება შემდეგ ძირითად სტანდარტებს:

- ბავშვის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომა
- ბავშვის ციო-ფსიქო-სოციალური საჭიროებებზე ორიენტირებული მიდგომა
- ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის პრინციპი
- ოჯახურ გარემოში აღზრდისა და კარგონიერი განვითარების უფლება
- გონივრული მისაღებად და უნივერსალური ღირსების გათვალისწინება
- გადარწმუნების მიღება მულტიდისციპლინური მეთოდების საშუალებით

ა) ბავშვის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომა

- ბავშვის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა წარმოადგენს კოდექსის კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც ეფუძნება ბავშვის უფლებების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს და მიმართულია ბავშვის უფლებების დაცვისა და რეალიზებისკენ.
- ბავშვის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ეყრდნობა სახელმწიფოს სამართლებრივ და მორალურ ვალდებულებას - დაიცვას ბავშვის უფლება.
- ბავშვის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს ოჯახების გაძლიერებას.

ბ) ბავშვის (ბიო-ფსიქო-სოციალური) საჭიროებებზე ორიენტირებული მიდგომა

ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება გულისხმობს იმ ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების შეფასებას, რომლებიც გავლენას ახდენს ერთმანეთზე და განსაზღვრავს ბავშვისა და ოჯახის ფუნქციონირების ხარისხს.

გ) ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება

ბავშვის უფლებებზე დაფუძნებულ ბავშვის უფლებათა დაცვის სისტემაში ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვას უჭირავს ცენტრალური ადგილი.

კოდექსის მე-5 მუხლი აყალიბებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების უფლებას. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ის წარმოადგენს სუბიექტურ უფლებას, რომლის დაცვაც შესაძლებელია, მათ შორის, სასამართლოსთვის მიმართვის გზით.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნების ელემენტები:

- ბავშვის ინტერესი;
- ბავშვის ინტერესების პრიორიტად განსაზღვრა მშობლის მიერ;
- ინტერესების განსაზღვრა ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით;
- ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება.

დ) ოჯახურ გარემოში აღზრდისა და ჰარმონიული განვითარების უფლება

- გულისხმობს ოჯახის, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედის და განსაკუთრებით, ბავშვების აღზრდისა და კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვანი გარემოს დაცვას და მხარდაჭერას.
- ბავშვს აქვს უფლება, აღიზარდოს სიყვარულით აღსავსე ოჯახურ გარემოში, სადაც მის განვითარების საჭიროებებზე თანმიმდევრულად ზრუნავენ.
- დაუშვებელია ბავშვის მშობლისგან განცალკევება მისი ნების საწინააღმდეგოდ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი დაშორება აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.
- დაუშვებელია, ბავშვის მშობლისგან/ოჯახისგან განცალკევება მხოლოდ იმის გამო, რომ მშობელს არ აქვს სათანადო საცხოვრებელი პირობები ან ფინანსური/მატერიალური სახსრები.
- დაუშვებელია ბავშვის მშობლისგან განცალკევება მხოლოდ იმის გამო, რომ მშობელი შეზღუდული შესაძლებლობის პირია.

ე) გონივრული მისადაგებისა და უნივერსალური დიზაინის გათვალისწინება

გონივრული მისადაგება - ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას სხვათა თანასწორად.

გონივრული მისადაგების განსაზღვრების სამი არსებითი კომპონენტი:

1. ცვლილებები უნდა იყოს აუცილებელი და შესაბამისი;
2. გათვალისწინებული უნდა იქნეს ცვლილებით გამოწვეული ტვირთი;
3. მას უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური ხასიათი.

მისადაგების არსებითი მიზანი არის თანასწორობის ხელშეწყობა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა.

უნივერსალური დიზაინი - პროდუქტის, გარემოს, სწავლების, პროგრამის, მომსახურების ისეთი დიზაინი, რომელიც მას ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომს ხდის ისე, რომ ადაპტირება და სპეციალური დიზაინის გამოყენება აუცილებელი არ არის. უნივერსალური დიზაინი არ გამოიცხადება, საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად, მისთვის დამხმარე საშუალებების მიწოდებას ან/და სხვაგვარად ხელის შეწყობას.

ვ) გადანყვეტილების მიღება მულტიდისციპლინური შეფასების საფუძველზე

მულტიდისციპლინური მიდგომა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისა და სავალდებულო შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომელიც გულისხმობს სპეციალიზებული პირების მიერ ბავშვის ფსიქოლოგიური და ფიზიკური კეთილდღეობის, მისი სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების შეფასებას და გათვალისწინებას.

მულტიდისციპლინური მიდგომა არის ბავშვის უფლების შემადგენელი ნაწილი:

- თუ ალტერნატიული ზრუნვის მიზნით ბავშვის განთავსება აუცილებელია და ალტერნატიული ზრუნვის ფორმა სრულად შეესაბამება ბავშვის უფლებათა დაცვისა და ბავშვზე ზრუნვის როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, უფლებამოსილი ორგანო იღებს ალტერნატიული ზრუნვის მიზნით ბავშვის განთავსების შესახებ გადანყვეტილებას, შესაბამისი პროფესიული კადრებით დაკომპლექტებული მულტიდისციპლინური ჯგუფის შეფასებისა და რეკომენდაციის საფუძველზე, ბავშვის მონაწილეობით და ბავშვის ინტერესებისთვის მორგებული პროცედურების დაცვით.
- მულტიდისციპლინური ჯგუფი ამტკიცებს ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმას, რომლის მიზანია ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა, მისი ჰარმონიული განვითარება, სოციალური ინკლუზია და მისი ყველა სხვა უფლებისა და თავისუფლების ეფექტიანი რეალიზება.
- ალტერნატიული ზრუნვის მიმწოდებელი პირები უნდა აკმაყოფილებდნენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პროფესიულ სტანდარტებს, მათ შორის, პროფესიული ეთიკის სტანდარტებს და საქმიანობას მულტიდისციპლინური მიდგომით უნდა ახორციელებდნენ.

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ბავშვთა დაცვის სისტემის სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება, ბავშვთა მიმართ ძალადობის დროული იდენტიფიცირება და რეაგირება უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში. სწორედ აღნიშნული მიზნის რეალიზებისთვის შემუშავდა „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ პროექტი, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით, რომლითაც განისაზღვრა ბავშვზე ძალადობის იდენტიფიცირებასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელი უწყებები. ესენია: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და მათ სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული/მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები და საქართველოს პროკურორატურა, ასევე, მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები/დანესებულებები.

დანესებულებების/მომსახურებების სახით „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებში“ ჩართულ სუბიექტებად განისაზღვრა სკოლამდელი განათლების დანესებულებები, ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებები, სკოლისგარეშე სახელოვნებო/სასპორტო წრეები და ადგილობრივი თვითმმართველობები.

ბავშვთა დაცვის რეფერირების სისტემის მიზანს წარმოადგენს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენა; მისი მდგომარეობის შეფასება და ძალადობის შესახებ საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, შესაბამისი ორგანოების ინფორმირება; საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის განთავსება ბავშვზე ზრუნვის შესაბამის დანესებულებაში და ძალადობის შემთხვევაზე ზედამხედველობის განხორციელება.

მოცემული ეტაპების დროულად და მოქნილად განხორციელება აჩქარებს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის დროულ იდენტიფიცირებას და მასზე სათანადო რეაგირებას. აღნიშნულს ხელს უწყობს ასევე ჩართულ უწყებებს შორის თანამშრომლობის გამართული მექანიზმების არსებობა.

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ ახალი რედაქციით, გაფართოვდა და დაკონკრეტდა საპატრულო პოლიციისა და საუბნო სამსახურების უფლებამოსილება, რომლებსაც, პროცედურების ფარგლებში, გარდა ბავშვზე ძალადობის ფაქტების გამოვლენაზე ოპერატიული რეაგირებისა, დაევალა სოციალურ მუშაკთან ერთად ბავშვის მშობლებისგან/სხვა კანონიერი წარმომადგენლისგან ან სხვა პირებისგან განცალკევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება, მათ შორის, გადაუდებელ შემთხვევაში, ბავშვის სამედიცინო დანესებულებაში გადაყვანა. ამის გარდა, შსს-ს უფლებამოსილი პირი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში („ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი), გამოსცემს

შემაკავებელ ორდერს და იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის განცალკევებაზე;

ასევე, სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის განცალკევებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებისათვის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, გამოსცემს იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერს.

გაფართოვდა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს უფლებამოსილებაც. გარდა სააგენტოში სხვადასხვა სუბიექტისგან რეფერირებული ძალადობის მსხვერპლი ან სავარაუდო მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობის შეფასებისა და ძალადობის შემთხვევის მართვისა, სააგენტოს უფლებამოსილ პირს, სოციალურ მუშაკს, მიეცა უფლებამოსილება გადაუდებელ შემთხვევებში, უკიდურესი ზომის სახით, პოლიციის წარმომადგენელთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილება ოჯახიდან ბავშვის გამოყვანის ან მოძალადისგან განცალკევების შესახებ და ბავშვი შესაბამის სპეციალიზებულ დანესებულებაში, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო დანესებულებაში განათავსოს. გარდა მითითებული ვალდებულებისა, სოციალურ მუშაკს დაევალა, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს ბავშვისთვის დაბადების რეგისტრაციის ან/და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების, მათ შორის, დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მოპოვების/მიღების მიზნით შესაბამისი პროცედურა; ასევე, მშობლის/მშობლების, სხვა კანონიერი წარმომადგენლების ან/და სხვა პასუხისმგებელი პირების კონსულტირება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მუშაკისა და სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლის თანამშრომლობა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მოთხოვნებიდან (მუხლი 52, პუნქტი 11) გამომდინარე, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს უფლებამოსილება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არის არასრულწლოვნის საპროცესო წარმომადგენლობის განხორციელება. სააგენტო პროცესში ერთვება გაომძიებლის, პროკურორისა და მოსამართლის მიმართვის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, როდესაც მიმართვა ხორციელდება არასამუშაო საათებში/დღეებში ან სატელეფონო შეტყობინებით, მიმართვა სააგენტოს წარმომადგენელს – სოციალურ მუშაკს – უნდა გადაეცეს ადგილზე მისვლისას. მიმართვაში/დადგენილებაში დასაბუთებული უნდა იყოს ინფორმაცია როგორც კანონიერი წარმომადგენლის, ისე სანდო პირის ვერმოდებების შესახებ და სოციალური მუშაკის, როგორც საპროცესო წარმომადგენლის, ჩართვის საჭიროება. აღნიშნული რეგულაცია, თავისთავად, პირდაპირ არ უკავშირდება ბავშვთა დაცვის რეფერალის პროცედურებს, თუმცა, განსაზღვრავს უწყებათაშორის თანამშრომლობას, რომლის დროსაც არასრულწლოვნის უფლებების დაცვა მაქსიმალურად ბავშვზე უნდა იყოს ორიენტირებული.

რაც შეეხება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებში“ ჩართულ სხვა სუბიექტებს, სკოლამდელი/ზოგადი განათლების დანესებულებებს, სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დანესებულებებს, მანდატურის სამსა-

ხურს და ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებებს, მათი ვალდებულებაა, ბავშვზე ძალადობის შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გააანალიზონ შემთხვევა და საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, უზრუნველყონ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს და პოლიციის ინფორმირება.

სამედიცინო სერვისების მიმწოდებლები (მათ შორის, სოფლის ექიმები) რეფერირების პროცედურების ფარგლებში ვალდებული არიან, ბავშვზე ძალადობის შესახებ ეჭვის გაჩენისას, გააანალიზონ შემთხვევა და საფუძვლიანი ეჭვის გაჩენისას დაუყოვნებლივ მიაწოდონ ინფორმაცია ზრუნვის სააგენტოსა და პოლიციას. კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვზე ძალადობის შემთხვევის სწორი მართვა, რაც გულისხმობს:

- შეფასების შედეგების ზუსტ დოკუმენტირებასა და კონფიდენციალურობის დაცვას;
- შესაბამისი სამედიცინო ტესტების დროულად ჩატარებას;
- ბავშვზე ძალადობის შედეგების, აგრეთვე სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკების შეფასებას;
- პრევენციული ზომების გატარებას, მათ შორის, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა/სხვა პასუხისმგებელ პირთა განათლებას/ინფორმირებას ბავშვის განვითარებისა და ბავშვზე ზრუნვის საკითხებზე;
- ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობის განხორციელებას ზრუნვის სააგენტოსთან თანამშრომლობით.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების ფარგლებში ჩართული ახალი სუბიექტი – მუნიციპალიტეტების გამგეობა/მერია, უშუალოდ ან/და უფლებამოსილი დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების მონიტორინგს და, ბავშვზე ძალადობის შესახებ ეჭვის გაჩენისას, რეფერირების პროცედურების ფარგლებში, უფლებამოსილია, ადგილზე გააანალიზოს შემთხვევა და საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ზრუნვის სააგენტოსა და პოლიციის ინფორმირება.

ქვეყანაში მიღწეული მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილებების მიუხედავად, კვლავ მრავალი გამოწვევა რჩება ყველა ბავშვის უფლებების განუხრელად დაცვისა და რეალიზების კუთხით. დღეისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ იკვეთება ბავშვების მიმართ ძალადობის პრევენცია, ძალადობის შესაძლო ფაქტების იდენტიფიცირება და აღნიშნულზე სათანადო რეაგირება. ამ მიმართულებით, აუცილებელია საზოგადოების, განსაკუთრებით თავად ბავშვების ინფორმირება როგორც ძალადობის ფორმების, ასევე დაცვისა და სარეაბილიტაციო მექანიზმების შესახებ.

ქვეყანაში მოქმედი პროგრამები არასაკმარისია სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მათი გრძელვადიანი მხარდაჭერისა და სოციალური ფუნქციის ამაღლებისთვის, იმგვარად, რომ მათ შემდგომ დამოუკიდებელ ცხოვრებას მიაღწიონ. გამოწვევად რჩება, ასევე, მხარდაჭერი პროფესიების სპეციალისტების სიმცირე და სარეაბილიტაციო სერვისებით ბავშვების უზრუნველყოფა.

ბავშვების უსაფრთხოებისა და საჭიროებების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, მათზე ორიენტირებული და სისტემური მიდგომის, კოორდინაციის გაძლიერება და შესაძლო დამატებითი მომსახურებების დანერგვა, მათ შორის, და განსაკუთრებით, სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრები ბავშვებისთვის, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისთვის, ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, სახელმწიფომ:

- შეაფასოს და გააძლიეროს ბავშვების სოციალური მხარდაჭერის პროგრამები, რათა ისინი ადეკვატურად პასუხობდნენ სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ოჯახების საჭიროებებს.
- ბავშვებისთვის ღირსეული და არაძალადობრივი გარემოს ხელშეწყობისთვის, იზრუნოს პოზიტიური აღზრდის პროგრამების განვითარებაზე, ქცევის კორექციისა და მშობელთა უნარების სერვისებზე.
- ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის, მათზე ორიენტირებული და სისტემური მიდგომის დანერგვისთვის, გააძლიეროს სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაცია და იზრუნოს შესაძლო დამატებითი მომსახურებების დანერგვის საჭიროებაზე.

ბიბლიოგრაფია:

ბავშვის უფლებათა კოდექსი;

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება;

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი.

როგორ გახდეს მოგაქსაბანანატოლად დანებაულება ბავშვის უფლებებთან გამორეული სკოლა (უცხოეთის გამოცდილება)



თამარ კანიშვილი

STEM პროგრამის სპეციალისტი

რატომ ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლა?

პროექტის შესახებ

ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლების პროექტი მიზნად ისახავს ახალგაზრდების გაძლიერებასა და სასკოლო საზოგადოების წევრთა აქტიურ მონაწილეობას ბავშვის უფლებათა ღირებულებებისა და პრინციპების სკოლის ცხოვრებაში ინტეგრირებაში. ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლების პროექტი არის Amnesty International-ის გლობალური საგანმანათლებლო პროექტი სკოლებისთვის. პროექტი ხელს უწყობს და მხარს უჭერს ადამიანის უფლებათა გლობალური კულტურის განვითარებას, რათა მთელ მსოფლიოში, საშუალო სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებლების დახმარებით, შეიქმნას ბავშვის უფლებებთან მეგობრული სასკოლო თემები.

მონაწილე სკოლები ცდილობენ დანერგონ ეს მიდგომა მთელ დანესებულებაში, ადამიანის უფლებათა ღირებულებებისა და პრინციპების ინტეგრირება მოახდინონ სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში, როგორცაა მმართველობა, ინტერპერსონალური დინამიკა, სასწავლო გეგმა, კლასგარეშე აქტივობები და სასკოლო გარემო.

ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლების პროექტი სცილდება საკლასო ოთახს. მისი მიზანია, შეცვალოს ხალხის აზროვნება და მოუწოდოს მათ, მიიღონ აქტიური მონაწილეობა ადამიანის უფლებათა საკითხების გადაჭრაში. პროექტი ემყარება რწმენას, რომ ცოდნის გაზრდითა და საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლით შეიძლება მიღწეულ იქნეს ბავშვთა უფლებების გლობალური კულტურის მდგრადობა.

პროექტის საფუძველი

ადამიანის უფლებებთან მეგობრული სკოლების პროექტი შეიმუშავა Amnesty International-მა, გაეროს ბავშვთა უფლებების განათლების მსოფლიო პროგრამის ფარგლებში. პროგრამის პირველ ფაზაში (2005-2009) ხაზგასმულია ადამიანის უფლებათა განათლების ინტეგრაცია დაწყებით და საშუალო სკოლებში მთელ მსოფლიოში.

პროექტი მხარს უჭერდა ადამიანის უფლებათა განათლებისადმი ჰოლისტიურ მიდგომას, მოუწოდებდა ეროვნულ მთავრობებს, რომ არა მხოლოდ მხარი დაეჭირათ სკოლებისთვის ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებაში, არამედ უზრუნველყოთ, რომ სკოლების მართვაც შესაბამისობაში ყოფილიყო ამ ღირებულებებსა და პრინციპებთან. ადამიანის უფლებათა განათლების მსოფლიო პროგრამის მეორე ეტაპი 2010 წელს დაიწყო და ფოკუსირებულია უმაღლეს განათლებაზე, ამასთან, ხაზს უსვამს მუდმივი ძალისხმევის მნიშვნელობას ადამიანის უფლებათა განათლების სკოლებში ინტეგრაციისთვის.

გაეროს დეკლარაცია ბავშვის უფლებათა განათლებისა და ტრენინგის შესახებ მოუწოდებს ქვეყნებს, ხელი შეუწყონ და უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა განათლებისა და ტრენინგის განვითარება და განხორციელება, რომელიც ორიენტირებული იქნება მონაწილეობაზე, ჩართულობასა და ანგარიშვალდებულებაზე.

„ყველას აქვს უფლება იცოდეს, მოიძიოს და მიიღოს ინფორმაცია ბავშვთა ყველა უფლებასა და ფუნდამენტურ თავისუფლებაზე და ჰქონდეს წვდომა ბავშვთა უფლებების განათლებასა და ტრენინგზე“.

ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლების პროექტი აფართოებს სხვადასხვა მიმდინარე ინიციატივასა და მცდელობას ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მრავალ ქვეყანაში, დაწყებული ინდოეთიდან და ირლანდიიდან, დამთავრებული კოლუმბიითა და გაერთიანებული სამეფოთი. ეს პროექტი შესაძლებლობას აძლევს Amnesty International-ს, დაეხმაროს ქვეყნებს გლობალურად ადამიანის უფლებათა ინტეგრირებაში მათი ეროვნული განათლების ჩარჩოების ფუნდამენტურ კომპონენტში.

ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლების პროექტის საპილოტე ფაზა გრძელდებოდა 2009 წლის სექტემბრიდან 2011 წლის ივლისამდე და მოიცავდა 15 საშუალო სკოლას 14 ქვეყნიდან.

ვინაიდან პროექტი ფართოვდება და იზრდება მასში ჩართული სკოლების რიცხვი, Amnesty International-მა განაახლა ადრინდელი გზამკვლევი საპილოტე ფაზის გამოცდილებისა და სწავლების კონსოლიდაციის, ასახვისა და გაზიარების მიზნით.

ნა ანის გავშვთა უფლებების განათლება?

ბავშვთა უფლებების განათლება არის მონაწილეობითი პრაქტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ინდივიდებისა და თემების გაძლიერებას, მათ აღჭურვას ცოდნით, დამოკიდებულებებით, ღირებულებებითა და უნარებით, რომლებიც საჭიროა, რომ ისარგებლონ თავიანთი უფლებებით, პატივი სცენ და დაიცვან სხვათა უფლებები.

ბავშვთა უფლებების განათლება მოიცავს:

1. განათლებას ბავშვთა უფლებების შესახებ – ცოდნა და ადამიანის უფლებათა ნორმების, პრინციპების გაგება, ინსტრუმენტები და ღირებულებები, რომლებიც მათ ემყარება.
1. განათლებას ბავშვთა უფლებების მეშვეობით – სწავლა ინკლუზიური, მონაწილეობითი და დემოკრატიული მეთოდებით, რომელიც პატივს სცემს როგორც მასწავლებელთა, ასევე მოსწავლეთა უფლებებს.
1. განათლებას ბავშვთა უფლებებისთვის – განათლება ბავშვთა უფლებებისთვის მოიცავს სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგიებს, რომლებიც ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა პრინციპების გამოყენებას ყოველდღიურ სიტუაციებში, რაც აძლევს ინდივიდებს უფლებას, განამტკიცონ თავიანთი უფლებები და, იმავდროულად, პატივი სცენ და დაიცვან სხვათა უფლებები.

ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლების ქსელი 2009-2012 წწ.:

ბენინი	უნგრეთი	მონღოლეთი
ბერმუდა	ინდოეთი	მაროკო
ჩილე	ირლანდია	პარაგვაი
კოტ-დ'ივუარი	ისრაელი	პოლონეთი
ჩეხეთი	იტალია	სენეგალი
დანია	კენია	სამხრეთ აფრიკა
განა	მოლდოვა	გაერთიანებული სამეფო

ნატომ ანის ადამიანის უფლებების განათლება გნივხნალოვანი სკოლებისთვის?

სკოლებს გადამწყვეტი ადგილი უჭირავთ როგორც ინდივიდუალურ, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისინი ემსახურებიან ფართო საზოგადოების მიკროსამყაროს, და ასევე, გადამწყვეტ როლს ასრულებენ ახალგაზრდა თაობის ღირებულებებისა და ქცევების ჩამოყალიბებაში, მათ აღჭურვაში საჭირო უნარებითა და ცოდნით, რათა აქტიური და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საზოგადოებაში. 21-ე საუკუნეში, რომელიც ხასიათდება გლობალიზაციით, ახალგაზრდები სულ უფრო მეტად ხვდებიან და ეცნობიან მრავალფეროვან და დინამიკურ სამყაროს. ამ კონტექსტში, ისეთი საკითხები, როგორიცაა სიღარიბე, უთანასწორობა და სხვადასხვა უსამართლობა კვლავ რჩება მილიონობით ადამიანის ცხოვრებაში.

ბავშვთა უფლებებს შეუძლია მთელ მსოფლიოში მისცეს სკოლებს თანასწორობის, არადისკრიმინაციის, ჩართულობის, პატივისცემის, ღირსების და მონაწილეობის საერთო ენა, რაც გადამწყვეტია უფრო მშვიდობიანი და სამართლიანი გლობალური საზოგადოების მიღწევისთვის. ბავშვთა უფლებების განათლება არის კრიტიკული საშუალება იმ ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების დასაწერად, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა კულტურის განვითარებას.

Amnesty International განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა კულტურას, როგორც ატმოსფეროს, რომელშიც მოცემული საზოგადოების თითოეულ წევრს ესმის, აფასებს და იცავს ადამიანის უფლებებს; სადაც თანასწორობის, ღირსების, პატივისცემისა და არადისკრიმინაციის ღირებულებები ამაგრებს პოლიტიკას და წარმოადგენს საფუძველს საზოგადოების შიგნით გადანაცვლებების მიღების პროცესებისთვის.

“მაინც საიდან იწყება ადამიანის საყოველთაო უფლებები? იწყება პატარა ადგილებიდან, სახლთან ახლოს - ისე პატარა, მცირე ადგილებიდან, რომ მსოფლიოს არცერთ რუკაზე არ ჩანს. თუმცა ისინი თითოეული ადამიანისათვის მთელი სამყაროა; უბანი, რომელშიც ცხოვრობს; სკოლა ან კოლეჯი, სადაც სწავლობს; ქარხანა, ფერმა თუ ოფისი, სადაც ის მუშაობს... თუ ამ უფლებებს იქ არ აქვს მნიშვნელობა, მათ სხვაგანაც არ ექნებათ ღირებულება.”

ელეონორ რუზველტი, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი.

ნა ანის გავშვთა უფლებათა გამოცდილი სკოლა?

ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლა არის სკოლა, რომელიც მოიცავს ბავშვთა უფლებებს, როგორც ძირითად სამოქმედო და ორგანიზების პრინციპებს. ეს არის სასკოლო საზოგადოება, სადაც ადამიანის უფლებების სწავლა, სწავლება, პრაქტიკა, პატივისცემა, დაცვა და პოპულარიზაცია ხდება; ეს არის ადგილი, სადაც ყველა მონაწილეობს და წახალისებულია, მიიღოს მონაწილეობა, განურჩევლად სტატუსისა და როლისა; გარემო, სადაც აღინიშნება კულტურული მრავალფეროვნება.

ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლა უზრუნველყოფს, რომ ადამიანის უფლებების ღირებულებები და პრინციპები იყოს სასწავლო გამოცდილების ცენტრში და სასკოლო ცხოვრების ყველა ძირითად სფეროში; ეს არის სკოლა, რომელიც „მეგობრულია“ ბავშვთა უფლებების მიმართ.

ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლა:

- ხელს უწყობს თანასწორობის, არადისკრიმინაციის, ჩართულობის, პატივისცემისა და ღირსების საერთო ატმოსფეროს შექმნას სკოლის მასშტაბით.
- წარმოადგენს სკოლების მართვის მოდელს, რომელიც მოიცავს სრულ დემოკრატიას და აქტიურ მონაწილეობას; სადაც სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი იღებს გადამწყვეტილებებს.

- ეხმარება მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და პერსონალს, არსებითად და თანაბრად მონაწილეობდნენ სკოლის პოლიტიკისა და პრაქტიკის შექმნასა და განხორციელებაში.
- ავითარებს გაძლიერებული ინკლუზიურობისა და ურთიერთდაკავშირების გრძნობას, რომელიც ავითარებს ორმხრივ ანგარიშვალდებულებას და სოლიდარობას როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეზე.
- ავითარებს სტუდენტების კრიტიკულ აზროვნებასა და ჩართულობას დებატებში ადამიანის უფლებებისა და სოციალური ცვლილებების შესახებ.
- უზრუნველყოფს მდიდარ სასწავლო გამოცდილებას ადამიანის უფლებების შესახებ საკლასო ოთახის შიგნით თუ გარეთ.
- ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლა იყენებს ჰოლისტიურ სტრატეგიას ბავშვთა უფლებების პრინციპების დანერგვისთვის სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში. ეს მიდგომა, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ადამიანის უფლებათა განათლებისადმი, მოიცავს არა მხოლოდ განათლების შინაარსის, არამედ სწავლების მეთოდების შემოწმებას, რაც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა კულტურის ხელშეწყობას სასკოლო საზოგადოებაში.
- რა სარგებელი მოაქვს ბავშვის უფლებებთან მეგობრულ სკოლას?

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა უფლებების კულტურის ზრდის გაზომვა რთულია, შესაძლებელია რეალური ცვლილებების დანახვა როგორც სკოლაში, ასევე ფართო საზოგადოებაში ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლების ინიციატივის გამო. საპილოტე ფაზამ აჩვენა, რომ ადამიანის უფლებების სწავლების ყოვლისმომცველმა მიდგომამ შეიძლება გამოიწვიოს შემდეგი შედეგები:

პიროვნებაზე:

1. მასწავლებლები გადიან ტრენინგს ადამიანის უფლებების დაცვისა და სწავლების მეთოდების შესახებ, რის შედეგადაც საკლასო ოთახში იქმნება პოზიტიური ატმოსფერო და მოსწავლეებთან ურთიერთობაც ძლიერდება.
2. მოსწავლეები ავლენენ კრიტიკული აზროვნების გაზრდილ უნარს და უკეთესი თავიანთი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ.
3. მოსწავლეები აჩვენებენ გაძლიერებულ ინფორმირებულობას ფართო საზოგადოებისა და სოციალური საკითხების შესახებ; ასევე უვითარდებთ ლიდერობის უნარები, რომლებიც სჭირდებათ სკოლის პოლიტიკასა და აქტივობებში ეფექტური მონაწილეობისა და გავლენის მოხდენისთვის.
4. მასწავლებლებიც და სტუდენტებიც ავლენენ გაუმჯობესებულ უნარებს თანამშრომლობითი მუშაობისა და სწავლის დროს.
5. სკოლის საზოგადოების ყველა წევრი იძენს ცოდნას ადამიანის უფლებების შესახებ, ერთვება დისკუსიებში და ხელს უწყობს პოზიტიურ ცვლილებებს როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეზე.

სკოლებში

1. რადგან მოსწავლეები, პერსონალი და უფრო ფართო სასკოლო საზოგადოება გადანეწყვილებს იღებს სკოლაში, იზრდება მათი პასუხისმგებლობის გრძნობა სკოლის მიმართ.
2. იზრდება გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, რაც ხელს უწყობს უფრო მყარ ურთიერთობებს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის.
3. სასკოლო საზოგადოების წევრები გამოხატავენ უფრო დიდ პატივისცემას, თანამშრომლობას და ერთმანეთისადმი მიმღებლობას, რაც იწვევს ანტისოციალური ქცევის შემცირებას, როგორიცაა მაგალითად, ბულინგი.
4. ადამიანის უფლებების დაცვის მიდგომა გარდაქმნის სკოლებს სწავლისთვის უფრო უსაფრთხო და ინკლუზიურ გარემოდ, განსაკუთრებით მარგინალიზებული ან დაუცველი პირების სასარგებლოდ.

საზოგადოებაში

1. ფართო საზოგადოება აქტიურად მონაწილეობს სასკოლო საქმეებში, წვლილი შეაქვს ადამიანის უფლებების ხელშეწყობის პოლიტიკისა და აქტივობების შემუშავებასა და განხორციელებაში.
2. ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებასთან ერთად, ახალგაზრდები თანამშრომლობენ ფართო საზოგადოებასთან, რათა განახორციელონ ადამიანის უფლებების ხელშეწყობის ცვლილებები, რომლებიც სცილდება საკლასო ოთახის საზღვრებს.

ეროვნულ კუთვნილებაზე:

1. ბავშვთა უფლებებისადმი მეგობრული სკოლების პროექტი პარტნიორობს ადგილობრივ და ეროვნულ ორგანიზაციებთან, რათა ერთობლივად გამოიკვლიონ ბავშვთა უფლებების გაძლიერების გზები.
2. პროექტი გამოიყენება როგორც სანიმუშო საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც აჩვენებს ადამიანის უფლებათა განათლების ფორმალური განათლების სისტემაში ინტეგრირების უპირატესობებს.

ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლა პრაქტიკაში არის გარემო, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიულ მონაწილეობას და პროაქტიულ ჩართულობას გლობალურ საკითხებში.

დანია

KonTiki Skolen-ში ჰილეროდში, ყოველი დილა იწყება სკოლის შეკრებით, რომელსაც ესწრებიან მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. ეს შეხვედრები ემსახურება განახლებისა და განცხადებების პლატფორმას და სასკოლო საზოგადოებას აძლევს საშუალებას, გააძლიეროს ადამიანის უფლებების ჩარჩო, რომელიც მორგებულია მათ უნიკალურ მოთხოვნებზე. შეხვედრებს უძღვებიან მოსწავლეები როტაციის პრინციპით, რაც ხელს უწყობს მათ დემოკრატიულ ჩართულობას. ყოველ პარასკევს იმართება ე.წ. „დემოკრატიული პროცესი“, რომელიც საშუალებას

აძლევს ბავშვებს, გაუზიარონ თავიანთი პერსპექტივები და გამოხმაურება სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე უშუალოდ სკოლის დირექტორსა და მასწავლებლებს. ამ პროცესის ფარგლებში, კლასში თანატოლების მიერ არჩეული ორი წარმომადგენელი თანამშრომლობს მთელ სტუდენტურ ჯგუფთან, რათა მოილაპარაკონ და მიაღწიონ კონსენსუსს მასწავლებლებთან და სკოლის ხელმძღვანელებთან ყოველკვირეულ საკითხებზე

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს აქტივობების ორგანიზებაში, როგორიცაა მაგალითად, ფონდების მოზიდვის ღონისძიებები. ეს აქტივობები მოსწავლეებს უვითარებს გადამწყვეტილების მიღების უნარებს და ეხმარება ფინანსების მართვაში.

მშობლების ჩართულობა სკოლის საქმეებში ძალიან ფასდება. ისინი მონაწილეობენ სკოლის საბჭოში, დილის შეკრებებში და აწყობენ კლასგარეშე აქტივობებს, როგორიცაა სათემო მებაღეობა.

საბოლოოდ, სკოლის მიერ ადამიანის უფლებათა პერსპექტივებისა და ტერმინოლოგიის ყოველდღიურობაში ჩართვამ შექმნა დემოკრატიული მონაწილეობისთვის და გლობალურ საკითხებში აქტიური ჩართულობისთვის მხარდაჭერი ატმოსფერო. მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ დემოკრატიული პროცესი მათ საშუალებას აძლევს, უფრო მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ სკოლის გადამწყვეტილების მიღებაზე.

პროექტის მიმოხილვა

ეს თავი გთავაზობთ ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლების პროექტის დეტალურ მიმოხილვას, რაც უზრუნველყოფს აუცილებელ ცნებებს მისი ძირითადი მიზნებისა და ფარგლების გასაგებად. ამ ნაწილში წარმოდგენილი 10 გლობალური პრინციპი ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლებისთვის, ასახავს სასკოლო ცხოვრების ოთხ ძირითად სფეროს და აჯამებს ადამიანის უფლებებთან მეგობრულ სკოლად გარდაქმნის პროცესს.

რას მოიცავს ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლის პროექტი?

ეს პროექტი განსხვავდება ჩვეულებრივი მიდგომებისგან, სადაც გაკვეთილები უბრალოდ ისწავლება და ბავშვები პასიურად უსმენენ მასწავლებლებს. ბავშვთა უფლებების მეგობრული სკოლების პროექტი აქცევს სკოლას ადგილად, სადაც ბავშვთა უფლებები არის ინტეგრირებული სასკოლო საქმიანობის ყველა ასპექტში - სკოლებში გადამწყვეტილების მიღების წესიდან დაწყებული, ჩატარებული აქტივობებით და სასწავლო გარემოთი დამთავრებული; სკოლა წარმოადგენს ბავშვის უფლებათა განათლების სანიმუშო მოდელს. სკოლებს მოუწოდებენ ინოვაციებისკენ და მიესალმებიან მრავალ თვალსაზრისს სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლების პროექტი ეფუძნება ბავშვთა უფლებების 10 გლობალურ პრინციპს, რომლებიც გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებიდან, ნორმებიდან და ინსტრუმენტებიდან, როგორიცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (UDHR). გლობალური პრინციპები ხაზს უსვამს იმას,

თუ როგორ შეუძლიათ სკოლებს ბავშვის უფლებათა დაცვის ამ ინსტრუმენტებში დაცული ღირებულებები და უფლებები სასკოლო გარემოსთვის გამოსაყენებელ პრაქტიკად გადააქციონ.

დამატებითი დეტალები ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლების 10 გლობალური პრინციპის შესახებ ხელმისაწვდომია წინამდებარე სახელმძღვანელოს მესამე ნაწილში.

10 გლობალური პრინციპი ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლებისთვის:

არადისკრიმინაცია და ინკლუზიურობა

1. ბავშვის უფლებებთან მეგობრულ სკოლაში თანასწორობა, არადისკრიმინაცია, ღირსება და პატივისცემა საფუძვლად უდევს სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტს.
2. სკოლა ქმნის სასწავლო გარემოს, სადაც პრიორიტეტულია ადამიანის უფლებების პატივისცემა, დაცვა და ხელშეწყობა.
3. ადამიანის უფლებებთან მეგობრული სკოლა სრულად მოიცავს ინკლუზიას.

მონაწილეობა

4. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი წახალისებულია, რომ თავისუფალი, აქტიური და მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღოს სასკოლო ცხოვრებაში, მათ შორის, სკოლის პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავებაში.
5. სკოლა უზრუნველყოფს, რომ მის თითოეულ წევრს ჰქონდეს ინფორმაცია და რესურსები, რომლებიც აუცილებელია სასკოლო ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობისთვის.

ანგარიშვალდებულება

6. ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლა ინარჩუნებს სამართლიანობას, ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას თავისი დაგეგმვის, პროცესების, პოლიტიკისა და პრაქტიკის ყველა ასპექტში.
7. სკოლა პრიორიტეტს ანიჭებს სასკოლო საზოგადოების წევრთა უსაფრთხოებას, და მას საერთო პასუხისმგებლობად აქცევს.

გაძლიერება სწავლისა და სწავლების გზით

8. სკოლა აერთიანებს ბავშვთა უფლებების პრინციპებს სწავლებისა და სასწავლო გეგმის ყველა ასპექტში.
9. სკოლა ცდილობს, თითოეულმა მოსწავლემ გაიაზროს საკუთარი პოტენციალი განათლების საშუალებით, განსაკუთრებით მათ, ვინც მარგინალიზებულია სქესის, სტატუსის ან განსხვავებულობის გამო.
10. ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლა აძლევს მოსწავლეებსა და პერსონალს უფლებას, აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში როგორც გლობალური საზოგადოების წევრები, გაუზიარონ

რონ ცოდნა სხვებს და გადადგან პროაქტიული ნაბიჯები, რათა პატივს სცემდნენ ბავშვთა უფლებებს, იცავდნენ და ხელს უწყობდნენ მათ.

სასკოლო ცხოვრების ძირითადი სფეროები.

სკოლებს მოუწოდებენ, ჩართონ 10 გლობალური პრინციპი ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლებისთვის სასკოლო ცხოვრების ოთხ ძირითად სფეროში.

მმართველობა - სკოლის მართვის წესი.

ადამიანის უფლებებთან მეგობრული სკოლები იბრძვიან, შექმნან მმართველობითი სტრუქტურები, რომლებიც იქნება სრულად დემოკრატიული და მონაწილეობითი, წაახალისებს სკოლის საზოგადოების ყველა წევრს თავისუფლად და აქტიურად ჩაერთოს სკოლის საქმეებში, მათ შორის, სკოლის პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავებაში. ეს შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა გზით, როგორცაა მოსწავლეთა წარმომადგენლობის ხელშეწყობა სკოლის საბჭოში, მოსწავლეთა წარმომადგენლობითი ორგანოების შექმნა, მშობელთა ასოციაციების გაძლიერება და თანატოლების ჩართვა მოსწავლეთა დისციპლინურ სამართალწარმოებაში.

ურთიერთობები - სასკოლო საზოგადოების წევრების ერთმანეთთან ურთიერთობის ფორმა.

პროექტი ხელს უწყობს თანასწორობის, არადისკრიმინაციის, ინკლუზიის, პატივისცემისა და ღირსების ატმოსფეროს მთელ სასკოლო საზოგადოებაში. ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლები ცდილობენ განავითარონ ურთიერთპატივისცემა, ნდობა და უფლებებისა და მოვალეობების კოლექტიური გაგება პერსონალს, მოსწავლეებსა და ფართო საზოგადოებას შორის. ამ მიზნის მისაღწევად შეიძლება გამოყენებულ იქნეს აქტივობების ფართო სპექტრი, მათ შორის, ტრენინგები ან ღია შეხვედრები, რომლებიც ფოკუსირებული იქნება უფლებებსა და პასუხისმგებლობებზე; შესაძლოა განხორციელდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის პროექტები, კომუნიკაციისა და კონფლიქტების მოგვარების სემინარები, სკოლების ღია კარის დღეები, გამოფენები ადამიანის უფლებების თემაზე და სხვ.

სასწავლო გეგმა და კლასგარეშე აქტივობები - ბავშვის უფლებათა სწავლება, რომელიც მოიცავს როგორც მის შინაარსს, ასევე მეთოდოლოგიას.

ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლები საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს, გაეცნონ ადამიანის უფლებებს როგორც სასწავლო გეგმის, ასევე კლასგარეშე კლუბებისა და აქტივობების მეშვეობით. პროექტის ფარგლებში, მასწავლებლები ატარებენ ტრენინგს როგორც ადამიანის უფლებათა შინაარსთან დაკავშირებით, ასევე ადამიანის უფლებათა განათლების მეთოდოლოგიებში, რაც მათ საშუალებას აძლევს ეფექტურად გააერთიანონ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები თავიანთ სასწავლო პრაქტიკაში.

ისინი სწავლობენ სხვა ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლების გამოცდილებიდან და იყენებენ Amnesty International-ის ადამიანის უფლებათა საგან-

მანათლებლო რესურსებსა და კამპანიის ინსტრუმენტებს. კლასგარეშე აქტივობები შეიძლება მოიცავდეს სამსახიობო კლუბებს, სადაც შეასრულებენ სპექტაკლებს ბავშვთა უფლებების თემაზე, ბუღინგის წინააღმდეგ კამპანიებს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ან ეროვნულ დღეებში აღნიშვნის ღონისძიებებს და ადამიანის უფლებათა კლუბების შექმნას ადამიანის უფლებათა საკითხებზე ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ადვოკატირებისთვის.

სკოლის გარემო - გარემო, სადაც მიმდინარეობს სწავლა.

ბავშვთა უფლებების შესახებ ყველაზე ეფექტური სწავლა ხდება გარემოში, რომელიც იცავს სწავლების პრინციპებს. ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლები განიცდიან ფიზიკურ ცვლილებებს, რათა ასახონ და გამოხატონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ღირებულებები. ეს აქტივობები შეიძლება მოიცავდეს დერეფნებისა და შენობებისთვის ბავშვთა უფლებების შესაბამისი სახელწოდებების მინიჭებას, საზოგადოების ჩართვას არსებული სტრუქტურების შეკეთებასა და განახლებაში ან სკოლაში ადამიანის უფლებათა დაცვის სივრცეების შექმნას, როგორცაა ბაღები ან სადისკუსიო ოთახები.

დამატებითი დეტალები სასკოლო ცხოვრების ოთხ ძირითად მიმართულებასთან და სტრატეგიებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებებთან მეგობრული სკოლების 10 გლობალური პრინციპის ამ სფეროებში ინტეგრირებისთვის, ხელმისაწვდომია წინამდებარე სახელმძღვანელოს მეოთხე ნაწილში.

როგორ მუშაობს ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლების პროექტი?

ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლების პროექტს სკოლები მთელი საზოგადოების მხარდაჭერით ახორციელებენ. პროექტის ჩარჩო შემუშავებულია Amnesty International-ის მიერ და Amnesty International-ის ადგილობრივი ოფისები ან დანიშნული დამხმარე ორგანიზაციები ეხმარებიან პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში. მხარდაჭერა ხელმისაწვდომია ადამიანის უფლებებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს ჩამოყალიბების გზაზე ყოველ ნაბიჯზე.

როგორ ეხმარება Amnesty International სკოლებს, რომ გახდნენ უფრო მეგობრული ბავშვთა უფლებების დაცვაში?

როგორც კი სკოლა გამოთქვამს ინტერესს, გახდეს ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლა, Amnesty International მზადაა დისკუსიების დასაწყებად, ინფორმაციის, ექსპერტიზის, მასალებისა და ინსტრუმენტების შეთავაზებისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, იგეგმება შეხვედრები სკოლის ხელმძღვანელობასთან. მხარდაჭერა გრძელდება პროექტის განხორციელების პერიოდში, სკოლასა და Amnesty International-ის ადგილობრივ ოფისს შორის შეთანხმებული მიდგომის შესაბამისად.

როგორ თანამშრომლობენ სკოლები და Amnesty International?

სკოლასა და Amnesty International-ს შორის პარტნიორობა მხარს უჭერს პროექტის ეფექტურ განვითარებას. წარსული გამოცდილება მიუთითებს, რომ პირველადი ორგანიზაციული მხარდაჭერა შეიძლება იყოს საჭირო, მაგრამ რამდენადაც სკოლის საზოგადოება სულ უფრო მეტად ითვისებს პროექტს, პარტნიორობას შეუძლია საჭიროებისამებრ მოერგოს.

როგორ აერთიანებენ სკოლები ბავშვთა უფლებებს ყოველდღიურ საქმიანობასა და რუტინაში?

თქვენს სკოლას აქვს სრული შემოქმედებითი ავტორიტეტი სასკოლო ცხოვრებაში ბავშვთა უფლებების ჩართვაში, იმის გათვალისწინებით, თუ რა ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემას ეკუთვნის და როგორ სოციალურ და კულტურულ გარემოში მუშაობს. აქცენტი კეთდება შემოქმედებითობისა და ინოვაციების ხელშეწყობაზე. მთელი პროცესის განმავლობაში მხარდაჭერა, ხელმძღვანელობა და საილუსტრაციო აქტივობები ხელმისაწვდომია ყველა ეტაპზე.

როგორ შეიძლება გახდეს სკოლა ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლა?

ეს თავი მიმოიხილავს იმ ნაბიჯებს, რომლებიც თქვენს სკოლას შეუძლია გადადგას ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლისკენ მიმავალ გზაზე, დაწყებული პროექტში ჩართვის გადწყვეტილებიდან, დაგეგმვისა და განხორციელების ფაზებიდან, მისი მცდელობების ეფექტურობისა და გავლენის შეფასებამდე. ეს ნაბიჯები მიზნად ისახავს, იყოს გზამკვლევი, რათა თითოეულმა სკოლამ გაიაროს თავისი უნიკალური გზა ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლისკენ.

ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლების პროექტი ადაპტირებადია, რაც საშუალებას აძლევს სკოლას, თითოეული ნაბიჯი მორგებული იყოს მის კონკრეტულ საჭიროებებზე. ეს მოქნილობა ეხება შინაარსს, ნაბიჯების თანმიმდევრობასა და პროექტის განხორციელების ვადებს.

გაითვალისწინეთ, რომ ადამიანის უფლებებთან მეგობრულ გარემოზე გადასვლა გრძელვადიანი მიზანია და მისი მიღწევა არაა შესაძლებელია ერთ ღამეში ან თუნდაც ერთი სასწავლო წლის განმავლობაში. ეს არის უწყვეტი მოგზაურობა, რომელიც მოითხოვს მუდმივ ერთგულებას და ძალისხმევას სკოლებისგან. ქვემოთ მოცემულია ბავშვის უფლებებთან მეგობრულ სკოლად გახდომის პროცესის ორი ეტაპის მიმოხილვა:

- საწყისი ფაზა - მოიცავს მომზადებას, დაგეგმვასა და პროექტისთვის საფუძვლის ჩამოყალიბებას.
- პროექტის განხორციელებისა და განხილვის ეტაპზე სკოლები ქმნიან სამოქმედო გეგმას ბავშვთა უფლებების სასკოლო ცხოვრებაში ინტეგრაციისა და მათი პროგრესის შესაფასებლად მუდმივი მონიტორინგის გზით.

დამატებითი ინფორმაცია დანყების ფაზის თითოეული საფეხურის, პროექტის განხორციელებისა და განხილვის ფაზასთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია მეხუთე ნაწილში.

საწყისი ფაზა

1. გაეცანით პროექტს

- შეისწავლეთ და გაიაზრეთ 10 გლობალური პრინციპი, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვთა უფლებების დაცვას სკოლებში, სასკოლო ცხოვრების ოთხ ძირითად ასპექტთან ერთად.
- გადახედეთ ნაბიჯებს, რათა გახდეთ ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლა.
- კითხვების შემთხვევაში, დაუკავშირდით თქვენს ახლომდებარე Amnesty International-ის ოფისს.

ინფორმაცია, ადამიანის უფლებებთან მეგობრული სკოლებისთვის 10 გლობალური პრინციპის დანერგვისა და სასკოლო ცხოვრების ოთხი ძირითადი სფეროს შესახებ, შეგიძლიათ იხილოთ ამ სახელმძღვანელოს მესამე და მეოთხე ნაწილებში.

სახელმძღვანელოში თქვენ შეხვდებით, ასევე, კონკრეტული შემთხვევების განხილვას, რომლებიც გთავაზობთ დამატებით ინფორმაციას. თქვენმა ახლომდებარე Amnesty International-ის ოფისმა შესაძლოა მოგანოდოთ დამატებითი რესურსებიც/დახმარებაც.

2. განსაზღვრეთ, შეესაბამება თუ არა ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლების პროექტი თქვენი სკოლის მიზნებს.

- თქვენი ახლომდებარე Amnesty International-ის ოფისის დახმარებით შეაფასეთ, რამდენად შესაფერისია ადამიანის უფლებებთან მეგობრული სკოლების პროექტი თქვენი სკოლისთვის.

დარწმუნდით, რომ გესმით პროექტის მოთხოვნები და დაადასტურეთ, რომ თქვენს სკოლას გააჩნია მისი განხორციელებისთვის საჭირო მდგრადობა და შესაძლებლობა. ეს გადწყვეტილება მიიღება თქვენს ადგილობრივ Amnesty International ოფისთან ან დანიშნულ დამხმარე ორგანიზაციასთან თანამშრომლობით.

3. მიიღეთ თქვენი სკოლის ხელმძღვანელობის თანხმობა პროექტის განსახორციელებლად.

- დარწმუნდით, რომ თქვენი სკოლის ხელმძღვანელობა სრულად ეთანხმება და მზადაა პროექტის განხორციელებისთვის.
- გააფორმეთ შეთანხმება, ურთიერთგაგების მემორანდუმის (MOU) ხელმოწერით, თქვენს ახლომდებარე Amnesty International-ის ოფისთან.

თქვენი სკოლის ხელმძღვანელობის (მაგ.: დირექტორთა საბჭოს, რწმუნებულების, უფროსი მასწავლებლის ან დირექტორის) მხარდაჭერა მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის. თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ურთიერთგაგების მემორანდუმი (MOU) ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლების პროექტისთვის თქვენი ახლომდებარე Amnesty International-ის ოფისიდან.

4. შექმენით სამუშაო ჯგუფი ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლების პროექტისთვის.

- შექმენით პროექტის სამუშაო ჯგუფი ან მენეჯმენტის სხვა ფორმა, რათა უზრუნველყოთ ეფექტური ხელმძღვანელობა და ლიდერობა მთელი პროექტის განმავლობაში.
- დარწმუნდით, რომ პროექტის სამუშაო ჯგუფი მოიცავს წარმომადგენლობას სასკოლო საზოგადოების ყველა სეგმენტისგან, მათ შორის, მასწავლებლებს, სტუდენტებს, სკოლის ადმინისტრაციას და მშობლებს.
- გააძლიერეთ პროექტის სამუშაო ჯგუფის წევრების უნარ-ჩვევები იმ სფეროებში, რომლებიც მათთვის სასარგებლოა პროექტის ეფექტური მართვისთვის.

პროექტის სამუშაო ჯგუფის შექმნისას შექმენით დოკუმენტი, რომელიც ასახავს ჯგუფის მთავარ მიზანს, ამოცანებსა და პასუხისმგებლობებს. თქვენს ახლომდებარე Amnesty International-ის ოფისს შეუძლია დაგეხმაროთ ამასში.

5. პროექტის შესახებ ცნობიერების ამაღლება მოსწავლეებში, მასწავლებლებსა და მთელ სასკოლო საზოგადოებაში.

- პროექტში ჩართეთ ყველა!
- ჩაატარეთ აქტივობები ცნობიერების ამაღლების მიზნით, რათა ყველამ გაიგოს და იყოს პროექტით შთაგონებული.
- ეს აქტივობები და დისკუსიები ასევე ღირებულია სკოლის სამოქმედო გეგმის შემუშავების კუთხით.

თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, მოაწყოთ საღამოს შეხვედრები ან სემინარები მშობლებისა და სკოლის სხვა წევრებისთვის, გაუგზავნოთ წერილები სათემო ორგანიზაციებს ან ჩაერთოთ საზოგადოებასთან სხვა შესაფერისი მეთოდებით. თქვენი ახლომდებარე Amnesty International-ის ოფისი მხარს დაგიჭერთ პროექტის ამ ფაზის განმავლობაში.

6. მოამზადეთ მასწავლებლები!

- ჩაატარეთ თქვენი მასწავლებლებისთვის ტრენინგ-სესიები, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას პროექტის, ბავშვის უფლებათა პრინციპებისა და მეთოდოლოგიების შესახებ.

მასწავლებელთა ტრენინგი ამ პროექტის გადამწყვეტი კომპონენტია, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი გაგება და ეფექტურად განხორციელება კლასში. ტრენინგ-სესიები მორგებული უნდა იყოს მასწავლებლების საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. ისინი უნდა ტარდებოდეს რამდენიმე დღის განმავლობაში რეგულარულად, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი სესიებით.

7. შეაფასეთ ბავშვთა უფლებების კეთილგანწყობის ამჟამინდელი დონე თქვენს სკოლაში.

- განიხილეთ ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლების 10 გლობალური პრინციპი.

- შეაფასეთ ბავშვთა უფლებების ტემპერატურა თქვენი სკოლისთვის მონოდეზიანი კითხვარის გამოყენებით.
- შეასრულეთ SWOT ანალიზი, რათა შეაფასოთ თქვენი სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები თუ საფრთხეები.
- გამოიყენეთ ადამიანის უფლებების კეთილგანწყობის დონეები სახელმძღვანელოდ.

პროექტის დასაწყისშივე თქვენს სკოლაში ბავშვთა უფლებების კეთილგანწყობის დონის შეფასება დაგეხმარებათ თქვენი სკოლის ხედვის, მიზნებისა და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, ის დაგეხმარებათ ადამიანის უფლებების მეგობრული სკოლის სტატუსის მისაღწევად საჭირო პროგრესის შეფასებაში.

8. ჩამოაყალიბეთ თქვენი სკოლის ხედვა, რომ გახდეთ ბავშვის უფლებებთან მეგობრული.

- შეიმუშავეთ სკოლის ხედვა, რომელიც აერთიანებს 10 გლობალურ პრინციპს და ასახავს თქვენი სკოლის შეფასებას ადამიანის უფლებების კეთილგანწყობის შესახებ.
- ჩართეთ ამ პროცესში სკოლის საზოგადოების ყველა წევრი.

თქვენი სკოლის ხედვის განვითარება მნიშვნელოვანი ნაბიჯია თქვენი სამოქმედო გეგმის შექმნამდე.

იყავით კრეატიული! წარმოიდგინეთ, რისი მიღწევაც გასურთ თქვენს სკოლაში. გამოიყენეთ 10 გლობალური პრინციპი და ცოდნა სასკოლო ცხოვრების ოთხი ძირითადი სფეროს შესახებ, როგორც საფუძველი თქვენი სკოლის ხედვის ჩამოყალიბებისთვის.

9. შექმენით თქვენი სკოლის სამოქმედო გეგმა.

- დაგეგმეთ გზა ბავშვთა უფლებების კეთილგანწყობის მისაღწევად, სამოქმედო გეგმის შემუშავებით.
- დარწმუნდით, რომ თქვენს სამოქმედო გეგმაში ადგილი გამოყოფილია მონიტორინგისა და შეფასების აქტივობებისთვის.
- მიიღეთ შეფასება სასკოლო საზოგადოების რაც შეიძლება მეტი წევრისგან, მათ შორის მოსწავლეების, ადმინისტრაციული პერსონალის, მშობლებისა და ადგილობრივი საზოგადოების ორგანიზაციებისგან. ეს მიდგომა შესანიშნავი გზაა ყველა ადამიანის ჩართვისთვის.
- გაითვალისწინეთ, რომ თავდაპირველად სამოქმედო გეგმაში სასკოლო ცხოვრების ერთ ან ორ მიმართულებაზე შეგიძლიათ კონცენტრირდეთ, თქვენი სკოლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე დაყრდნობით.
- დარწმუნდით, რომ ყველა მონაწილე კმაყოფილია და მხარს უჭერს სამოქმედო გეგმას.

სკოლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის ხელმძღვანელობა პროექტის სამუშაო ჯგუფის პასუხისმგებლობა უნდა იყოს და ყველაზე ეფექტური იქნება თუ ამ პროცესში მთელი სკოლის

საზოგადოება მიიღებს მონაწილეობას. 10 გლობალური პრინციპი და ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების ოთხი ძირითადი სფეროს შესახებ შეიძლება გახდეს თქვენი სამოქმედო გეგმის შემუშავების ჩარჩო. პროექტის განხორციელებისა და განხილვის ეტაპი.

1. განახორციელეთ თქვენი სამოქმედო გეგმა.

- დარწმუნდით, რომ პროექტის სამუშაო ჯგუფი რეგულარულად იკრიბება, რათა სწორად წარიმართოს პროექტი.
- მოაწყვეთ გახსნის ღონისძიება ცნობიერების ამაღლების მიზნით და, თუ სასურველია, ჩართეთ მედია.
- გამოიყენეთ თქვენი ახლომდებარე Amnesty International-ის ოფისის მიერ მოწოდებული რესურსები.

თქვენი სკოლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას განიხილეთ ამ სახელმძღვანელოში მოცემული შემთხვევები და მიიღეთ ინსპირაცია იმ სკოლებისგან, რომლებიც უკვე შეუდგნენ გზას ადამიანის უფლებების დაცვისკენ.

2. ჩართეთ მთელი სასკოლო საზოგადოება და სხვა სკოლები.

- დარწმუნდით, რომ სკოლის საზოგადოების ყველა წევრი ჩართულია პროექტის ყველა ასპექტში.
- გარდა იმისა, რომ დაუკავშირდეთ თქვენი ქვეყნის სკოლებს, შეგიძლიათ ასევე, დაამყაროთ კომუნიკაცია ადამიანის უფლებებთან მეგობრულ სკოლებთან მთელ მსოფლიოში Amnesty International-ის დახმარებით.
- მიმართეთ სხვა სკოლებს გამოცდილების, იდეების გაცვლისა და შთაგონების მისაღებად.
- დაამყარეთ პარტნიორობა გარე ორგანიზაციებთან სწავლის გასაუმჯობესებლად და დამატებითი მხარდაჭერის მისაღებად.

სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა უზრუნველყოფს პროექტის მდგრადობასა და წარმატებას. სხვა ქვეყნებში ადამიანის უფლებებთან მეგობრულ სკოლებს შეიძლება დაუკავშირდეთ ტელეკონფერენციების, წერილების, ელ. ფოსტის ან საერთაშორისო გაცვლის გზით. სკოლას შეუძლია მოიზიდოს ფონდები ამ საერთაშორისო გაცვლის მხარდასაჭერად.

3. თვალყური ადევნეთ, შეაფასეთ და მიაწოდეთ უკუკავშირი პროექტზე.

- შეაფასეთ ბავშვთა უფლებების მეგობრული სკოლების პროექტის გავლენა თქვენს სკოლაში.
- მიმართეთ თქვენს ახლომდებარე Amnesty International-ის ფილიალს შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით.

მონიტორინგისა და შეფასების თქვენს სამოქმედო გეგმაში ჩართვა გადამწყვეტია პროექტის წარმატებისთვის. კარგი იქნება თუ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი მონაწილეობას მიიღებს ამ აქტივობაში.

4. გადახედეთ თქვენს სამოქმედო გეგმას და შეიმუშავეთ ახალი გეგმა მომავალი წლისთვის.

- თქვენი სკოლის პროგრესის შეფასების შემდეგ შეცვალეთ უკვე არსებული სამოქმედო გეგმა ან ჩამოაყალიბეთ ახალი, მომავალი სასწავლო წლისთვის.
- ეცადეთ, ჩაერთოთ სასკოლო ცხოვრების ოთხივე ძირითად სფეროში.

გაითვალისწინეთ, რომ ადამიანის უფლებებთან მეგობრული სკოლების პროექტი მიჰყვება შეფასების, დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების მუდმივ ციკლს.

განა

აკრას საშუალო სკოლა განაში მიზნად ისახავს ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარებას, დემოკრატიული სასკოლო გარემოსა და სწავლების ინოვაციური მეთოდების ხელშეწყობის გზით. სკოლა მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, გამოხატონ საკუთარი აზრი გადამწყვეტილების მიღების პროცესში მათ მიერ არჩეული მოსწავლეთა წარმომადგენლობითი საბჭოს (SRC) მეშვეობით, რომელიც მოქმედებს როგორც სასკოლო საზოგადოების პარლამენტი. სკოლის პოლიტიკასა და პროგრამებთან დაკავშირებული მოსაზრებები ჯერ წარედგინება საბჭოს, შემდეგ კი გადაეგზავნება მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციას.

ზოგიერთი სასკოლო საგანი მოიცავს ბავშვთა უფლებებს სასწავლო გეგმაში, ახალი სწავლების მეთოდები კი ხელს უწყობს ბავშვების მონაწილეობას. მასწავლებლებს შეუძლიათ პრიორიტეტი მიანიჭონ ვიზუალურად მიმზიდველ პროგრამებსა და დრამატულ მოვლენებს, როგორცაა როლური სავარჯიშოები ადამიანის უფლებების საკითხებზე, რაც დადებითად მოქმედებს სწავლაზე. შედეგად, მოსწავლეებიც და პედაგოგებიც გამოხატავენ თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების გაძლიერებულ გაცებასა და ცნობიერებას.

სკოლაში შექმნილია მრავალი კლუბი ბავშვთა უფლებების ხელშესაწყობად. გარდა ამისა, მოსწავლეებმა და თანამშრომლებმა ერთობლივად დააარსეს ბავშვის უფლებათა ბაღი, რომელიც უზრუნველყოფს დასვენებას, ადამიანის უფლებათა საკითხებზე დისკუსიებსა და ნარატივების გაზიარებას. ეს ინიციატივა ხელს უწყობს ღიაობისა და ტოლერანტობის უფრო დიდ გრძნობას სხვადასხვა რწმენისა და რელიგიის მიმართ, ისლამის, ქრისტიანობისა და სხვა სარწმუნოების წარმომადგენლობითი სკოლის საზოგადოებაში.

აკრას საშუალო სკოლამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. ეს მოიცავს მასწავლებელთა ტრენინგებს, რომლებიც ორიენტირებულია ბავშვების უფლებებსა და მონაწილეობითი სწავლების მეთოდებზე; ასევე სტუდენტების უფლებამოსილებას, გადანყვიტონ ადამიანის უფლებათა ეროვნული საკითხები, როგორცაა სიკვდილით დასჯა. აღნიშნული ცვლილება ქმნის საფუძველს კულტურისთვის, სადაც პატივისცემა, ღირსება და ტოლერანტობა ფუნდამენტურია ყოველდღიური ცხოვრებისათვის.

2011 წლის 20 ოქტომბერს, სკოლაში ვიზიტის დროს, განას მამინდელმა პრეზიდენტმა, პროფესორმა ჯონ ატა მილსმა, გამოხატა აღფრთოვანება აკრას საშუალო სკოლის მიმართ ბავშვთა უფლებების წარმატებით ჩართვისთვის სკოლის ეთოსში.

ჩვენები ბავშვის უფლებათა მემორიული სკოლისთვის.

1. არ იჩქაროთ!

ბავშვის უფლებებთან მეგობრულ სკოლად გარდაქმნა მოითხოვს მთელი სკოლის კოლექტიური მხარდაჭერას. თავიდანვე საჭირო დროისა და ენერგიის ინვესტიცია უზრუნველყოფს, რომ ყველამ გაიგოს პროექტის არსი, თვისი წვლილი შეიტანოს და იგრძნოს პასუხისმგებლობა.

2. უზრუნველყავით სკოლის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა!

მნიშვნელოვანია, რომ დირექტორმა ან სკოლის სხვა ხელმძღვანელებმა სრულად დაუჭირონ მხარი ინიციატივას, აქტიურად იყვნენ ჩართულნი და შეინარჩუნონ მჭიდრო კომუნიკაცია პროექტის სამუშაო ჯგუფთან. ეს მხარდაჭერა გადამწყვეტია პროექტის წარმატებისა და მისი გრძელვადიანი მდგრადობისთვის. სკოლის ხელმძღვანელობის თანხმობით, პროექტი ინტეგრირებული იქნება სკოლის დაგეგმვის პროცესებსა და პოლიტიკაში, რაც უზრუნველყოფს პერსონალის დროის ადეკვატურ განაწილებას.

3. აირჩიეთ პიროვნება Amnesty International-თან კოორდინაციისთვის.

ითანამშრომლეთ თქვენს ადგილობრივ Amnesty International-ის ოფისთან, რათა გაძლიერდეს კომუნიკაცია ორივე მხარეს შორის და გამარტივდეს Amnesty International-ისგან დროული და ეფექტური მხარდაჭერის მოთხოვნისა და მიღების პროცესი.

4. ჩართეთ პროექტში მთელი სასკოლო საზოგადოება!

მიეცით სკოლის საზოგადოების თითოეულ წევრს შესაძლებლობა, პროექტის დასაწყისში შეაფასონ სკოლა ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ. ეს ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას და ნაახალისებს მას. ასევე მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართვა პროექტის აქტივობების განხორციელებაში, განხილვასა და შეფასებაში. მშობლების პროექტში ჩართვა შეიძლება იყოს გამოწვევა, მაგრამ მათი უნარები და გამოცდილება გაამდიდრებს პროექტს და გააფართოებს მის გავლენას სკოლის საზღვრებს მიღმა.

5. მოამზადეთ თქვენი მასწავლებლები!

მასწავლებლების მომზადებაზე ძალისხმევა და დროის დახარჯვა პროექტისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობისაა. თუკი მასწავლებლები გაითავისებენ ბავშვთა უფლებებს და აღიჭურვებიან აუცილებელი ინსტრუმენტებით, ამით უზრუნველყოფენ პროექტის წარმატებას.

6. ისწავლეთ სხვებისგან და სხვებთან ერთად!

ბავშვის უფლებებთან მეგობრული სკოლების პროექტი მოიცავს სკოლების საერთაშორისო ქსელში ჩართვას მსოფლიოს მასშტაბით. სხვა მონაწილე სკოლებთან დაკავშირება გთავაზობთ შესანიშნავ შესაძლებლობას, გაზარდოთ პროექტის წარმატება თქვენს სკოლაში. მიღწევების გაზიარებით და გამოწვევების ერთობლივი გადაწყვეტით, სკოლებს შორის თანამშრომლობა ხელს უწყობს ზრდას. Amnesty International-ის ოფისი დაგეხმარებათ, დაუკავშირდეთ პროექტში ჩართულ სხვა სკოლებს.

7. არ შეგეშინდეთ შეცდომების!

ნუ მოერიდებით შეცდომებს. სხვადასხვა მიდგომის გამოცდა სწავლისა და ზრდის საშუალებას იძლევა. თქვენი გამოცდილების გაზიარებით, სხვებსაც შეეძლებათ ისწავლონ და გააუმჯობესონ პროექტი თავიანთ სკოლებში.

8. იყავით რეალისტები!

ბავშვთა უფლებების მეგობრულ გარემოზე გადასვლა ეტაპობრივი პროცესია. დაისახეთ SMART (სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური, დროში შეზღუდული) მიზნები, რომლებსაც განახორციელებთ ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში. მოერიდეთ ბევრი გადამწყვეტილების ერთდროულად მიღებას და დარწმუნდით, რომ დაგეგმილი აქტივობები შეესაბამება თქვენი სკოლის შესაძლებლობებსა და რესურსებს.

9. შეიმუშავეთ გრძელვადიანი პერსპექტივა!

დაგეგმეთ მომავალი და დარჩით პროექტის ერთგული. გაიაზრეთ, რომ ნებისმიერ სკოლაში ბავშვთა უფლებების მიმართულებით სრულყოფილების მიღწევა თითქმის შეუძლებელია. ეს პროექტი არის გრძელვადიანი და მოითხოვს დიდ ძალისხმევას.

10. იზვიადეთ თქვენი წარმატებები!

რეგულარულად შეაფასეთ თქვენი პროგრესი ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხში და გამოიყენეთ სხვადასხვა შესაძლებლობა, რომ აღნიშნოთ თქვენი მიღწევები. გაუზიარეთ შედეგები სასკოლო საზოგადოებას მეკრებების ან გაზეთების მეშვეობით. აღნიშნეთ თქვენი სკოლის ძალისხმევა, შექმნას ისეთი საზოგადოება, რომელშიც ბავშვთა უფლებები დაცულია.

